პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი
№ 165 (12373)

კვირა, 15 ივლისი, 1962 წ.

ფასი 2 კაპ.

# მუშაობა დაამთავრა

## მოსკოვის მსოფლიო კონგრესმა



მოსკოვი, 14 ივლისი. (საკ.დესი). საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის საბოლოო სხდომა გაიხსნა დღეს 16 საათსა და 30 წუთზე კრემლის ყრილობათა სასახლეში პროფესორ კაორუ იასუის (იაპონია) თავმჯდომარეობით.

სხდომა გახსნა კაორუ იასუიმ, რომელმაც დამსწრეებს მოაგონა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვები, რომ კონგრესის დარბაზში ფიქრებით მთელი საბჭოთა ხალხია, და დასძინა: აქ, ყრილობათა სასახლეშია ახლა მშვიდობისათვის ყველა მებრძოლის, კეთილი ნების ყველა ადამიანის ფიქრები და გრძნობები.

პროფესორმა ოსკარ ლანგემ (პოლონეთი) კომისიის სახელით, რომელიც განიარაღების ეკონომიურ შედეგებს განიხილავს, მოახსენა კონგრესს ამ კომისიის მუშაობის შედეგები.

პირველი კომისიის — „განიარაღების პოლიტიკური და ტექნიკური პრობლემები" — საქმიანობის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა საფრანგეთის წარმომადგენელმა პიერ ბიკარმა.

მოსკოვი, 14 ივლისი. (საკ.დესი). დღეს 21 საათზე მუშაობა დაამთავრა საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესმა.

კონგრესმა მიიღო მიმართვა მსოფლიოს ხალხებისადმი.

# ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის თხოვნის შესახებ — ჩაბან ქალაქის მუშა-მოსამსახურეები

## კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში

### სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წ. 12 ივლისის დადგენილება

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების, მაოეებისა და ოლქების ხელმძღვანელები მიძართავენ თხოვნით — მიეცეთ ნება ჩაბან ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებიული პუნქტების მოსახლეობა, აგრეთვე სტუდენტები და სკოლების მოსწავლეები. თავიანთ თხოვნას ისინი ასაბუთებენ იმით, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები თუ გარედან არ აიყვანენ მუშახელს, ვერ შეასრულებენ ნათესების მოვლისა და მოსავლის აღების სამუშაოებს, ვერ აიცილებენ დანაკარგებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ეს მოსაზრებანი უსაფუძვლოდ მიაჩნიათ. ამჟამად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს აქვთ დიდძალი სხვადასხვა ტექნიკა, მათ ცოტა როდი ჰყავთ შრომისუნარიანი მოსახლეობა, კვალიფიციური მექანიზატორები, რომლებსაც შრომის კარგი ორგანიზაციითა და არსებული ტექნიკის უნარიანი გამოყენებით შეუძლიათ დროზე შეასრულონ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო.

ხელმძღვანელები, რომლებიც მოგვმართავენ თხოვნით, რომ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში აიყვანონ გარედან მუშახელი, კონკრეტულად არ უდგებიან თვითეულ მეეოსეობას და არ ანორციელებენ ღონისძიებებს, იმისათვის, რომ კარგად მოაწყონ არსებული ტექნიკისა და მუშახელის გამოყენება, ასევე ადამიანებს გამოიყენონ ეს ტექნიკა, იშრომონ მაღალნაყოფიერად. ასეთი ხელმძღვანელები უპასუხისმგებლოდ იქცევიან, როცა იმედი აქვთ, რომ მათ გაუგზავნიან მუშებს ფაბრიკებიდან, ქარხნებიდან, დაწესებულებებიდან, თვითონ კი დროზე არ ზრუნავენ კვალიფიციური კადრების მომზადებისათვის, არ აწყობენ შრომას, როგორც ამას ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აკეთებენ.

ნაცვლად იმისა, რომ დარაზმონ პარტიული, კომკავშირული ორგანიზაციები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები არსებულ შესაძლებლობათა უკეთ გამოყენებისათვის, მთელი რიგი რესპუბლიკებისა და ოლქების ხელმძღვანელები ადგებიან ნაკლები წინააღმდეგობის გზას — თხოულობენ ნებართვას, რომ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ჩაბან სტუდენტები და საწარმოთა მუშები. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, რომ როგორც აღნიშნეს ზონალური თათბირების მონაწილეებმა, ცალკეული კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ადგილობრივი ორგანოები ოლქებიდან და რაიონებიდან გზავნიდნენ ადამიანებს მოსავლის ასაღებად, თუმცა ეს დახმარება კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს არ უთხოვიათ.

ცნობილია, რომ სოფლის მეურნეობაში სამუშაოდ ქალაქის მოსახლეობის ჩაბმის პრაქტიკა ძალიან ძვირად უჯდებათ სახელმწიფოსა და კოლმეურნეობებს. მრავალი ადამიანი შორდება მრეწველობაში მუშაობას, სახელმწიფო აძლევს გარედან აყვანილ მუშებსა და მოსამსახურეებს ხელფასის ნახევარს, ზოგჯერ კი მეტს. ეს ხარჯები აშკარად არ მართლდება, იმ ადამიანთა შრომის ნაყოფიერება, რომლებსაც გარედან იყვანენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამუშაოდ, მეტად დაბალია.

ხელმძღვანელებს როდ გაძოეანგარიშებინათ, რა ღირს პროდუქცია, როდესაც იღებენ ასეთი „მეთოდეეით", მაშინ იფიქრედნენ, საჭიროა თუ არა მუშების ძიებვეა გარედან. სწორედ იმ ხეუონეობებში, სადაც არ ზრუნავენ მუდმივი კვალიფიციური კადრებისათვის, ძალიან ცუდად იყენებენ ტექნიკას, ტრაქტორის, სამკელი მანქანის, კომბაინის, სათიბი და სხვა მანქანების გამომუშავება 3-4-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ძოწინავე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო პროდუქციის თვითღირებულება ძალიან დიდია.

მიმდინარე წელს მოსავლის აღების სამუშაოთა უაოოიანი ორგაიზაციის კარგ მაგალითს გვიჩვენებს სტავროპოლის ძმარის საბჭოთა მეეონეობა „ტემეიეკესკის" მუშებისა და საეციალისტეების კოლექტივი. საბჭოთა მეურნეობის მეეანიზატორებმა ორ დღე-ღამეში მოიკეს პური ღვარეულებად 9.11ა ჰექტარზე. მოსავლის ასაღები თვითეული აგრეგატით მომაკლია საეაოლოდ 42 ჰექტარი პური. ღვარეულების აკოფა და ლეწვა დამთავრდა ხუთ სამუშაო დღეში. ხორბლის მოსავალა შეადგინა 28 ცენტნერი ჰექტარზე. საბჭოთა მეურნეობამ ვადამდე შეასრულა სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების წლიური გეგმა.

ასეთი წარმატება მოპოვებულია მოსავლის აღების მოწინავე წეეების ფართოდ დანერგვის შედეგად. ყველა აგრეგატი ძეწყვილებული და გასაძღებული სამკელი ეანქანებით მუშაობდა მთელი დღეღამის განმავლობაში, ჯგუფური ძეთოდით, გადიდებული ხიჩქარეებით სამუშაოთა უნარიანი ეოწყობის ეეთხებით უზრუნველყოფილია თვითეული აგრეგატის დიდი გამოუშავება და საბჭოთა მეურნეობას არ დასჭირვებია გარედან აეყვანა მუშახელი.

მაგრამ ბევრ მეურნეობაში ტექნიკას ძალიან ცუდად იყენებენ. ერთი კომბაინის გამომუშავება საშუალოდ დღეში შეადგენს სულ 6-8 ჰექტარს, სამკელი მანქანისა — 10-12 ჰექტარს, მაშინ როცა ტექნიკური ნორმებითაც კი მარცვლეულის კომბაინმა მოსავალი უნდა აიღოს 14-17 ჰექტარზე, ხოლო სამკელმა მანქანამ — 20-25 ჰექტარზე.

ტექნიკის უკეთ გამოყენების დიდი რეზერვებია იმ რაიონებშიც, სადაც კარგად, ორგანიზებულად იღებენ მოსავალს. სტავროპოლის მხარის პეტროვსკოეს რაიონის კოლმეურნეობა „1 მაისში" სამკელი აგრეგატის გამომუშავებამ საშუალოდ დღეში შეადგინა 45,6 ჰექტარი, მთლიანად რაიონში კი — 16 ჰექტარი. იპატოვოს რაიონის კოლმეურნეობა „სამშობლოში" სამკელი აგრეგატის გამომუშავებამ შეადგინა 39,3 ჰექტარი, მაშინ როცა რაიონში — 21 ჰექტარია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გმობენ იმ ხელმძღვანელებია მისწრაფებას, რომლებიც მიმდინარე წელსაც აპირებენ აწარმოონ ნათესების მოვლა და მოსავლის აღება ქალაქის მოსახლეობის ჩაბმის გზით და ამავე დროს საკმაო ღონისძიებებს არ ახორციელებენ თავიანთი შესაძლებლობების გამოყენებისათვის. ეს მოწმობს, რომ მათ სათანადო დასკვნები არ გაუკეთებიათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1962 წლის) პლენუმის გადაწყვეტილებებიდან და სოფლის მეურნეობის მუშაკთა ზონალური თათბირების შედეგებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო, საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო და საოლქო აღმასკომებს, ტერიტორიულ საწარმოო სამმართველოებს კონკრეტულად, კარგად გაერკვნენ თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის საქმეთა ვითარებაში, უზრუნველყონ ტექნიკის რემონტის სწრაფად დამთავრება, მოსავლის ასაღები ყველა აგრეგატი დაკომპლექტონ კვალიფიციური კადრებით, დეტალურად მოიფიქრონ მოსავლის აღების სამუშაოთა მოწყობის გეგმა, რომ უფრო სრულად გამოიყენონ არსებული ტექნიკა და რომ საბჭოთა მეურნეობის თვითეულმა მუშამ, თვითეულმა კოლმეურნემ მონაწილეობა მიიღოს ნათესების მოვლასა და მოსავლის აღებაში.

2. ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის, რომლებისთვისაც მართლაც აუცილებლად საჭიროა ქალაქის მოსახლეობის დახმარება და რომლებიც თხოულობენ ამ დახმარებას, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცეთ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების შინაგანი რესურსების გამოყენებით, მეურნეობათა ხელმძღვანელებთან შეთანხმებით, ჩაბან 1962 წელს როგორც გამონაკლისი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ქალაქების, მუშათა დაბებისა და სასოფლო დასახლებული პუნქტების შრომისუნარიანი მოსახლეობა, აგრეთვე სტუდენტები და მოსწავლეები იმ წესითა და პირობებით, რომლებიც 1961 წელს იყო.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურმა კომიტეტებმა და მინისტრთა საბჭოებმა, პარტიის სამხარეო კომიტეტებმა და სამხარეო აღმასკომებმა, პარტიის საოლქო კომიტეტებმა და საოლქო აღმასკომებმა უნდა მოიხსენონ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს:

ა) რამდენია ასეთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა, რატომ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ საჭირო გახდა გარედან მუშახელის აყვანა;

ბ) სწორად იყო თუ არა გამოყენებული მეურნეობათა მატერიალური და შრომითი რესურსები და რა დაჯდა პროდუქცია იმ მეურნეობებში, სადაც იყენებდნენ გარედან აყვანილ მუშახელს;

გ) რა ვადისათვის იქნებიან უზრუნველყოფილი ეს მეურნეობანი საკმაო რაოდენობის ტექნიკითა და გამოცდილი კადრებით, რათა დაიწყონ მეურნეობის ნორმალური გაძღოლა.

მიმდინარე წელს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა დათესეს მნიშვნელოვნად მეტი საკვები კულტურები და განსაკუთრებით ისეთი შრომატევადი, როგორიც არის ხასილოსე სიმინდი და პირუტყვის საკვები შაქრის ჭარხალი. იმ მიზნით, რომ დროზე დამთავრდეს სიმინდის აღება და მისი დასილოსება, შაქრის ჭარხლის აღება და დანაკარგები აო ჭქონდეთ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, სადაც ტრანსპორტისა და მუშახელის ნაკლებობაა, მიზანშეწონილია მოხდეს სიმინდის დასილოსება და ჭარხლის დაკავატება მინდვრებში. კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს საშუალება ექნებათ უფრო მალე აიღონ სიმინდი და ჭარხალი და ამასთან ნაკლები რაოდენობით გამოიყენონ ტრანსპორტი გაზიდვისათვის, ხოლო ზამთარში, როცა დაძაბული არ იქნება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, გაზიდონ სილოსი და ჭარხალი ფერმებში. ასე იქცევა ახლა ბევრი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

3. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შესაძლებლად ცნეს დაკმაყოფილონ უაზბეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და უაზბეთის სსრ მინისტრთა საბჭოს, პარტიის უამირის სამხარეო კომიტეტისა და სამხარეო აღმასკომის თხოვნა — გაიგზავნონ მიმდინარე წელს უამირის მხარეში მოსავლის ასაღებად მექანიზატორები სხვა რესპუბლიკებიდან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო რესპუბლიკისა და მხარის ხელმძღვანელებისაგან მოითხოვენ უზრუნველყონ, რომ უამირის რაიონებში ჰყავდეთ მექანიზატორთა მუდმივი საკუთარი კადრები, საჭიროა ბოლო მოეღოს უდარდელობას ამ საქმეში, გონივრულად მოეწყოს მექანიზატორის სპეციალობათა სწავლება საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, აგრეთვე ადგილობრივ საწარმოებსა და დაწესებულებებში, რათა მექანიზატორებმა მოსავლის აღების დღეებში დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. საჭიროა აგრეთვე გაანალიზონ უამირი მიწების რაიონების მეურნეობათა ტექნიკური აღჭურვილობა, ასწავლონ მექანიზატორებს მანქანების გამოყენების მოწინავე, ყველაზე ეფექტიანი ხერხები, რაც შესაძლებელს გახდის უზრუნველყოფილ იქნას ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს დროზე შესრულება მუშაკთა ნაკლები რაოდენობით.

* * *

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოუწოდებენ ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ ორგანიზაციებსა და ტერიტორიულ სამმართველოებს, სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს მთელი ძალები დარაზმონ იმისათვის, რომ შეასრულონ უმნიშვნელოვანესი ამოცანა—უზრუნველყონ ნათესების კარგი მოვლა, საკვების დამზადება, მოაწყონ მოსავლის აღება და შეასრულონ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებანი. თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, პარტიის მარნეულის რაიკომმა და რაიაღმასკომმა არ განახორციელეს გადამჭრელი ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის, შრომის დისციპლინის განტკიცებისათვის.

ამის შედეგად ცალკეული პირები, რომლებმაც ისარგებლეს შრომის სუსტი ორგანიზაციით, ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ მეურნეობის საქმიანობაში. მაგალითად, ყოფილი აგრონომენაკოსი ვ. ნადირაძე, რომელიც უმაყოფილო იყო საბჭოთა მეურნეობის დირექტორ ამხ. ქათამაძით ბრიგადირის თანამდებობაზე გადაყვანისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ მის ადგილზე დანიშნეს უმაღლესი განათლების მქონე აგრონომი, ცდილობდა ჩაეფუშა საბჭოთა მეურნეობის მუშაობა. ვ. ნადირაძის ხელშემწყობნი ვ. მუმლაძე, ს. ჯოხოხელიძე, ა. შუმლაძე, კ. შუბითიძე, ლ. გელაშვილი, გ. შარიფოვი და სხვები აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ საზოგადოებრივ შრომაში ჯერ კიდევ საბჭოთა მეურნეობის შექმნამდე და მუშაობა არ დაიწყეს საბჭოთა მეურნეობაში. მისი ორგანიზაციის მომენტიდან. მთელ თავის მეცადინეობას მუქთახორები და ზარმაცები ახმარდნენ პირადი მეურნეობის გადიდებას. მათ ჰქონდათ საკარმიდამო ნაკვეთები — კოლმეურნეთა, ნორმით — 0,25-0,5 ჰექტარი, მოჰყავდათ ორ-ორი მოსავალი წელიწადში და თავიანთი დროის მეტ ნაწილს ანდომებდნენ ბაზრებში პროდუქტების გასაღებას, ეწეოდნენ სპეკულაციას.

ზოგიერთი მუშა სარგებლობდა ადგილობრივი საბჭოთა და პარტიული ორგანოების, საბჭოთა მეურნეობის განყოფილებათა უფროსებისაგან და ბრიგადირების წაყრუებით და დაკარგა საკარმიდამო ნაკვეთების გადადების უკანონო გზას მიწის მთვრისებისა და საკარმიდამო მიწათსარგებლობის წესების სხვა დარღვევათა საშუალებით.

ვ. ნადირაძე, როცა საჩხერის რაიონის მცხოვრები იყო, ფიქციურად გამოეყო ხანდაზმულ დედას ღა, ჩავიდა რა მასთან ერთად მარნეულის რაიონში, შეძლო მიეღო ერთი ჰექტარი საკარმიდამო მიწა — თავისთვის და ცალკე დედისათვის. ამასთან ისინი ცხოვრობენ ერთად, ერთ სახლში. საზოგადოებრივ მთელი განვლილი წლის მახასიათებელ საბჭოთა მეურნეობაში იმუშავა მხოლოდ 45 დღე, ხოლო 1962 წლის 1 იანვრიდან 30 აპრილამდე ერთხელაც არ მისულა საბჭოთა მეურნეობაში. ისაც სარგებლობს საკარმიდამო ნაკვეთით — ნახევარი ჰექტარი სახელმწიფო მიწით.

საბჭოთა მეურნეობის საქმეთა ვითარება განიხილა კოლექტივის ღია პარტიულმა კრებამ. მეურნეობის კოლექტივმა დაგმო იმ პირთა საქციელი, რომლებიც ცდილობდნენ დეზორგანიზაცია შეეტანათ მუშაობაში, და მოითხოვა მათი განდევნა საბჭოთა მეურნეობიდან.

შრომის დისციპლინის შესუსტება, მიწათსარგებლობის წესების დარღვევა სხვა საბჭოთა მეურნეობებშიც არის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოსთხოვა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს, საწარმოო სამმართველოთა უფროსებს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტორგებს, სამხრეთ ოსეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამმართველოს საინუშო წესრიგი დაამყარონ თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში, მოაგვარონ შრომის დისციპლინა. მოაწესრიგონ საწარმოსარგებლობის მდგომარეობა, გარიცხონ საბჭოთა მეურნეობის მუშათა შემადგენლობიდან პირები, რომლებიც თავს არიდებენ მუშაობას და ამავე დროს სარგებლობენ საბჭოთა მეურნეობის ყველა სიკეთით, ჩამოართვან მათ მიწათსარგებლობის უფლება და გაიყვანონ საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიიდან.

რაიონის სასამართლოსა და პროკურატურის ორგანოები ვალდებული არიან სამი დღის ვადაში განიხილონ საბჭოთა მეურნეობის მოსავლის დატაცებაში დამნაშავეთა საქმეები.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო ვალდებულია დანერგოს ყველა საბჭოთა მეურნეობაში შრომის ინახლაურების პროგრესული სისტემა. განახორციელოს ღონისძიებანი მუშების მატერიალური დაინტერესებისათვის. (საქდესი).

## სკკპ ცენტრალური კომიტეტი

## სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტს

კოლმეურნეობებისადმი ეგრეთწოდებული საბეფო დახმარებისათვის საწარმოები ხარჯავენ უდიდეს სახსრებს, ამასთან სრულიად უსარგებლოდ. ქარხანა თუ ფაბრიკის დირექტორი, ადრე გაზაფხულით დაწყებული და ზამთრით დამთავრებული, სულ მუდამ გზავნის კოლმეურნეობებში მუშახელს. სასუქების გატანა, ხვნა, თესვა, მარგლა, მოსავლის აღება და ზოგჯერ პირუტყვის მოვლაც კი — ყოველივე ეს დაიწყო საწარმოს და ხორციელდება მის ხარჯზე.

რა ბარბაროსულად იყენებენ ამასთან მუშახელს და ხელფასის რა უდიდესი ფონდი ხმარდება ამას. იცის თუ არა ეს ცენტრალურმა კომიტეტმა? ვფიქრობ, კარგად არ იცის, თორემ არასგზით არ შეიძლება აიხსნას ასეთ მდგომარეობასთან შერიგება.

თუ ასე საჭირო საწარმოს სახსრების დაბამდება კოლმეურნეობებში, განა არ შეიძლება ამის უფრო გონივრულად გაკეთება. მე მესმის საბეფო დახმარება — ეს არის დახმარება კოლმეურნეობაში შრომის პროცესების ფართო მექანიზაციაში, ამ შრომის ორგანიზაციაში, აღრიცხვაში და სხვ., და არა ის, რომ მინდორში იარო სათესელათი ან თოხით.

ამასთან ვურთავ დირექტორის განკარგულებას, სადაც იგი იმოწმებს რაიკომის მითითებას, და ნოვგოროდის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს წერილს და გთხოვთ მიპასუხოთ, ვინ მისცა მათ ამის უფლება? და როდის დამყარდება ამ საქმეში წესრიგი?

**სკკპ წევრი, ოკულოვკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მთავარი ბუხჰალტერი**

**ი. ს. კუზინი.**

24. V. 62 წ.

ნოვგოროდის ოლქი, დაბა პარახინო, ცელულოზ-ქაღალდის კომბინატი.

## გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

### ოკულოვკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატისადმი

1962 წლის 21 მაისი, დაბა პარახინო

სკკპ რაიკომის ბიუროსა და რაისაბჭოს აღმასკომის 1962 წლის 17 მაისის დადგენილების თანახმად საბეფო დახმარების გაწევისათვის საგაზაფხულო თესვის სამუშაოთა მოწყობაში საშეფო კოლმეურნეობებში გაიგზავნონ სამკროებში მომუშავენი, რათა შეასრულონ შემდეგი დავალებანი:

**კოლმეურნეობა „მეგობარობა"**

| | |
|---|---|
| 1. ხე-ტყის ბირჟა | — 6 ჰექტარი კარტოფილი და 6 ჰექტარი სიმინდი |
| 2. სამსხმელო-მექანიკური | — 2 ჰექტარი კარტოფილი და 2 ჰექტარი სიმინდი |
| 3. შიდასაქარხნო ტრანსპორტი | 4 ჰექტარი კარტოფილი და 4 ჰექტარი სიმინდი |
| 4. თბოელექტროსადგური | — 3 ჰექტარი კარტოფილი და 3 ჰექტარი სიმინდი |
| სულ | — 15 ჰექტარი კარტოფილი და 15 ჰექტარი სიმინდი |

★

**ოკულოვკის** ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მთავარი ბუხჰალტრის ამხ. კუზინის წერილი, ისევე როგორც სხვა ახალგაზრა წერილები, რომლებიც მიღებულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და გაზეთების რედაქციებმა, ცხადყოფენ, რომ ზოგიერთ პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკს არასწორად, დაბახინჯებულად ესმის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების დახმარების არსი, ნაცვლად იმისა, რომ გონივრულად დაეხმარონ სოფლის მეურნეობის მუშაკებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობების წარმოების მკვეთრ აღმავლობაში, ასეთი ხელმძღვანელები მიდიან უფრო იოლი გზით. ისინი ხელგაშლილად ხარჯავენ საწარმოთა სახსრებს, სრულიად აღურიცხავად და უაზროდ გზავნიან სოფელში მუშახელს ქალაქებიდან იმ შემთხვევებშიც კი, როცა ეს სრულიად არ არის საჭირო. ხოლო ყოველივე ეს აფერხებს სამრეწველო საწარმოთა მუშაობას.

მეორე მხრივ, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ზოგიერთი ხელმძღვანელი ქალაქებიდან დახმარების მოლოდინში არაფერს არ აკეთებს იმისათვის, რომ კარგად მოაწყოს შრომა მეურნეობებში, უხარიხლად გამოიყენონ არსებული ტექნიკა, მუშახელი. ეს არყევს დისციპლინას, დაფუძნებს ადამიანებს, აჩვევს მათ უპასუხისმგებლობას.

ახლა სოფლად გაცხარებული მუშაობაა. საჭიროა, ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, „უზრუნველყონ ნათესების კარგი მოვლა, საკვების დამზადება, მოაწყონ მოსავლის აღება და შეასრულონ სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიყიდვის ვალდებულებანი. თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ღირსების საქმეა ეს სამუშაოები შეასრულონ საუკეთესო ვადებში და მაღალი ხარისხით, რათა მეტი პროდუქცია მიიღონ შრომისა და სახსრების ნაკლები დახარჯვით.

**კუიბიშევის სახელობის კოლმეურნეობა**

| | |
|---|---|
| 1. დერნიაკოვკის მუყაოს ქარხანა | — 5 ჰექტარი კარტოფილი და 5 ჰექტარი სიმინდი |

**კოლმეურნეობა „ლენინის გზა"**

| | |
|---|---|
| 1. ქაღალდის ფაბრიკა | — 7 ჰექტარი კარტოფილი და 10 ჰექტარი სიმინდი |
| 2. სახარისხებელი და ფართო მოხმარების საქონლისა | — 5 ჰექტარი კარტოფილი და 6 ჰექტარი სიმინდი |
| 3. ლაბორატორია | — 1 ჰექტარი კარტოფილი და 2 ჰექტარი სიმინდი |
| 4. მთავარი კანტორა, მომარაგების საპროექტო განყოფილება | — 2 ჰექტარი კარტოფილი და 2 ჰექტარი სიმინდი |
| სულ | — 15 ჰექტარი კარტოფილი და 20 ჰექტარი სიმინდი. |

იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება მალე შესრულდეს დავალებანი მიმდინარე წლის 30 მაისისათვის, გამოყოფილი მომუშავენი საამქროში მუშაობისაგან განთავისუფლდნენ მიმდინარე წლის 21 მაისს.

დავალების შესრულებისადმი ხელმძღვანელობას განსახორციელებლად ხელმძღვანელ მუშაკთაგან დაინიშნონ პასუხისმგებელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და უზრუნველყოფილ იქნას დავალების შესრულება.

ხვნაზე, ნაკელის გატანასა და კარტოფილისა და სიმინდის თესვაზე მუშაობის დროისა და დავალების ვადაზე შესრულებისათვის უნდა დაეტოვოთ საშუალო ხელფასი.

**კომბინატის დირექტორი საზანოვი.**

ნოვგოროდის პროფკავშირთა საოლქო საბჭო,
ქ. ნოვგოროდი, პროფკავშირთა სასლი

**1962 წლის 16 აპრილი**

### ოკულოვკის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარეს ამხ. ს. ს. ნიკიტკინს

თქვენს შეკითხვაზე სამეფო კოლმეურნეობაში მუშაობისათვის მუშების შრომის ანაზღაურების საკითხის შესახებ განვმარტავთ, რომ ამ მუშებზე არ ვრცელდება რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 29 ივლისის განკარგულება (საშუალო ხელფასის 50 პროცენტის შენარჩუნების შესახებ მოსავლის აღების სამუშაოებზე გაგზავნის დროს).

მუშებს, რომლებიც ქარხნის ადმინისტრაციამ გაგზავნა კოლმეურნეობაში სამუშაოდ, უნდა დაეტოვოთ საშუალო ხელფასი ძირითადი სამუშაო ადგილის მიხედვით.

**ნოვგოროდის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს მდივანი**

**ზ. კლაბონოვა.**

# დღეს მეტალურგთა ზეიმია

ცნობილი ქართველი მეტალურგი ამირან ფანცულაია და უკრაინელი ნოვატორი მეფოლადე ივანე პერებეინოსი დიდიხანია ერთმანეთს ეჯიბრებიან მეტი ფოლადისათვის ბრძოლაში. ხალხმა და პარტიამ დიდად დააფასეს მათი გმირული შრომა და აირჩიეს ისინი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. მეგობრები ერთმანეთს შეხვდნენ ამას წინათ გამართულ უმაღლესი საბჭოს სესიაზე.

ფოტო გ. ვასტანგაძისა.

# ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრა

## ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფს

**13 ივლისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ამერიკელ ჟურნალისტთა ჯგუფი, რომელსაც მეთაურობს ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების პრეზიდენტი, საგაზეთო გაერთიანება „ნიუტ ნიუსპეიპერსის" პასუხისმგებელი რედაქტორი ლი ჰილსი.

საუბრის დროს, რომელიც გულწრფელ ვითარებაში მიმდინარეობდა, ნ. ს. ხრუშჩოვმა უპასუხა ამერიკელი ჟურნალისტების კითხვებზე, რომლებიც შეეხებოდა თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, აგრეთვე საბჭოთა კავშირის საშინაო ცხოვრებასა და სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებს.

საუბარს საბჭოთა კავშირის მხრივ დაესწრნენ სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი პ. ა. სატიუკოვი, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივნები — გაზეთ „იზვესტიის" მთავარი რედაქტორი ა. ი. აჯუბეი, პრესის საგენტო „ახალი ამბების" გამგეობის თავმჯდომარე ბ. ს. ბურკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე ლ. მ. ზამიატინი, გაზეთ „პრავდის" სარედაქციო კოლეგიის წევრი ე. ვ. ლიტოშკო.

# ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იტალიის ელჩი ჯ. სტრანეო

**13 ივლისს** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო იტალიის რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ჯ. სტრანეო და მეგობრული საუბარი ჰქონდა მასთან.

იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრის ლ. პრეტის დავალებით ელჩმა ნ. ს. ხრუშჩოვს გადასცა საჩუქარი — იტალიაში გაკეთებული სამახსოვრო მედლები, რომლებიც ეძღვნება იტალიელებს ქრისტეფორე კოლუმბს — ამერიკის პირველაღმომჩენს, ამერიგო ვესპუჩის, რომლის სახელი დაერქვა ამერიკას, და საბჭოთა მფრინავს იური გაგარინს — კოსმოსის პირველაღმომჩენს. ნ. ს. ხრუშჩოვმა გულთბილი მადლობა გადაუხადა საჩუქრისათვის.

## საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

# საბჭოთა მეურნეობები სანიმუშო და რენტაბელური უნდა იყონ

**საბჭოთა** მეურნეობებს დიდი როლი ეკუთვნით სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრად გადიდებისათვის ბრძოლაში. ისინი სანიმუშო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები უნდა იყონ. მაგრამ არის საბჭოთა მეურნეობები, რომელთა მუშაობა დამაკმაყოფილებელი რჩება.

არსებითი ნაკლოვანებები გამოვლინდა, მაგალითად, მარნეულის მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნე

# უცილობელი ფაქტები და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყალბი ვერსია

## საკლესიო განცხადება

**ბ. წ. 11 ივლისს** ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც შეიცავს უხეშ ცდას საბჭოთა კავშირს დააკისროს პასუხისმგებლობა გამალებული ატომური შეიარაღების გაძლიერებისათვის, რაც ნატოს მონაწილე სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკის შედეგია.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადება თავიდან ბოლომდე ფაქტების უსუნი დამანჯღრეა. ნინამდვილის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების დიპლომატიური უწყება ცდილობს ისე დაბატოს საქმე, თითქოს არა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, არამედ საბჭოთა კავშირმა დაიწყო შეჯიბრება ატომური იარაღის გამოცდაში, მისი სიმძლავრის გადიდებაში. ვაშინგტონში, როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ ასეთი ხერხებით შეუძლიათ თავგზა აუბნინონ ადამიანებს, დააჯერებინონ ის, რომ სწორედ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თხუთმეტ წელიწადზე მეტი ხნის წინათ დაიწყეს გამალებული ატომური, შეიარაღება, განახორციელეს თავიანთი ატომური ბომბების პირველი გამოცდები. უფრო მეტიც, მათ არა მარტო გამოსცადეს ეს მომაკვდინებელი იარაღი, მათ გამოიყენეს იგი იაპონიის ქალაქების ხიროსიმასა და ნაგასაკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ. ადამიანებს არ დავიწყებიათ და არასოდეს არ აპატიებენ ამ საშინელ დანაშაულს კაცობრიობის წინააღმდეგ, რომლის მსგავსს ვერ იპოვნით ცივილიზებული საზოგადოების ისტორიაში. ხიროსიმასა და ნაგასაკის ციცხლში დამწვარ ადამიანთა ფერფლი მუდამ მოგვაგონებს ამ ბარბაროსულ აქტს.

ხალხებმა იციან, რომ მთელი შემდგომი წლების მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები აგრეთვე ინგლისი, ხოლო შემდეგ საფრანგეთიც განუწყვეტლივ ქმნიდნენ და ცდიდნენ სულ ახალი და ახალი ტიპების ატომურ იარაღს. ატომური იარაღის ყველა გამოცდა, რომელიც ოდესმე უწარმოებია საბჭოთა კავშირს, იყო მხოლოდ საპასუხო ღონისძიება დასავლეთის სახელმწიფოთა მოქმედების გამო, ატომური იარაღის გამოცდის გამო, რასაც ისინი ახორციელებდნენ.

საბჭოთა მთავრობა თავის მხრივ ყოველ ღონეს ხმარობდა, რათა ბოლო მოღებოდა ატომური იარაღის გამოცდებს, სამუდამოდ შეწყვეტილიყო გამალებული ატომური შეიარაღება. ჯერ კიდევ 1958 წელს საბჭოთა კავშირმა ცალმხრივი წესით შეწყვიტა თავისი ატომური იარაღის ყველა გამოცდა და მოუწოდა დასავლეთის სახელმწიფოებს მიებაძათ მისი მაგალითისათვის. იგი ასე მოიქცა, მიუხედავად იმისა, რომ იმ დროისათვის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა განახორციელეს რამდენჯერმე უფრო მეტი გამოსაცდელი ატომური აფეთქება, ვიდრე საბჭოთა კავშირმა.

რით უპასუხეს დასავლეთის სახელმწიფოებმა ჩვენი ქვეყნის ამ მშვიდობიმოყვარულ და უალრესად ჰუმანურ ნაბიჯს? მათ უპასუხეს ატომური იარაღის გამოცდების უმაგალითო მასშტაბის სერიით, ოკეანეთა უზარმაზარი სივრცეები და მრავალი კუნძული სიკვდილის იარაღის გამოსაცდელ და გასაუმჯობესებელ პოლიგონებად აქციეს.

ხალხებმა იმედის ხხივად მიიჩნიეს საბჭოთა კავშირის მიერ წამოყენებული იდეა ატომური იარაღის გამოცდების მორატორიუმისა, სხვანაირად რომ ვთქვათ, ის იდეა, რომ სახელმწიფოებმა ნებაყოფლობით ფაქტიურად აიღონ ხელი ატომური იარაღის ყოველ ექსპერიმენტზე. მაგრამ რა გამოვიდა ნინამდვილეში? სინამდვილეში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ გამოაცხადა, რომ თავისუფლად მიაჩნია თავი აწარმოოს ატომური იარაღის ყოველგვარი გამოცდა, როცა ეს მას დასჭირდება. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ დაიწყო მზადება გამოცდების განახლებისათვის, რასაც იგი არც მალავდა.

ვის არ ახსოვს აგრეთვე, როგორ გააწყლეს როლები, ნატოს წევრ სახელმწიფოებს შორის: მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი თავიანთი ატომური იარაღის გამოცდიდან გამოცდამდე ფარისევლურად აცხადებდნენ, რომ სურთ დაიდოს შეთანხმება გამოცდების შეწყვეტის შესახებ, საფრანგეთი, მათი ნატოელი მოკავშირე, ახორციელებდა ატომური იარაღის აფეთქებებს საჰარაში. საბჭოთა მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ სსრ კავშირი იძულებული გახდება გააბალოს გამოცდები, თუ საფრანგეთმა არ შეწყვიტა ატომური იარაღის ექსპერიმენტები, მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობები უყურადღებოდ ტოვებდნენ ამ გაფრთხილებებს: ისე ეჭირათ თავი, თითქოს საფრანგეთის მოქმედება მათ არ ეხებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი, ცდილობს რა დაასაბუთოს თავისი ყალბი ვერსია, თითქოს საბჭოთა კავშირი გამალებული ატომური შეიარაღების ინიციატორი იყოს, იმტკიცებს იმას, რომ საბჭოთა კავშირმა გასული წლის სექტემბერში განახორციელა ატომური იარაღის გამოცდები, და აცხადებს, თითქოს ჩვენი ეს ნაბიჯი მოულოდნელი იყო დასავლეთის სახელმწიფოებისათვის, მაგრამ იგი, რა თქმა უნდა, ერთ სიტყვასაც არ ამბობს ზემოთ მოყვანილ ფაქტებსა და დასავლეთის სახელმწიფოთა იმ აგრესიულ მოქმედებაზე, რომელმაც აიძულა საბჭოთა კავშირი განეახლებინა გამოცდები. რა გაეწყობა, შეგვიძლია მოვაგონოთ მათ ეს.

**1961** წელს შეიქმნა ვითარება, როცა საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ ინიციატივაზე, რომელმაც დასავლეთის სახელმწიფოებს შესთავაზა სსრ კავშირთან ერთად დაედოთ გერმანიის საზავო ხელშეკრულება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა გვიპასუხეს მუქარით, რომ დაიწყებენ ომს ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ. დასავლეთ გერმანიაში წამოაყენეს რევანშისტული მოთხოვნები მეორე მსოფლიო ომის შედეგად ევროპაში შექმნილი საზღვრების გადასინჯვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთანთქმის, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში სოციალისტური წყობილების ლიკვიდაციის შესახებ. განსაკუთრებით ცხადი გახდა, რომ დასავლეთ გერმანიაში სულ უფრო იმატებდა ძალები, რომლებიც მზად არიან თავაწყვეტით დაიწყონ ავანტიურა და გაჰყვნენ ჰიტლერის კვალს.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საომარი ვნებათაღელვის გასაძლიერებლად გამოაცხადა რეზერვისტების გაწვევა, ესე იგი სამხედრო მობილიზაცია, დაიწყო ჯარების გადაყვანა ევროპაში, აშკარა პროვოკაციული მიზნებით მოაწყო სამხედრო დემონსტრაციები კომუნიკაციებზე, რომლებიც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიით და მისი საჰაერო სივრცით მიდის დასავლეთ ბერლინში. დასავლეთგერმანელი რევანშისტების დასახმარებლად როგორც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი ემისარი, სასწრაფოდ გაიგზავნა დასავლეთ ბერლინში გენერალი კლეი. ამის მიზანი იყო ბაზგასმით აღენიშნა მნიშვნელობა დასავლეთ ბერლინისა, როგორც ნატოს სამხედრო ბაზისა, რომელსაც განსაკუთრებით აფასებენ ამერიკის შეერთებული შტატები.

დასავლეთის სახელმწიფოების მთელმა ამ მოქმედებამ გაამწვავა ვითარება და გააძლიერა ატომური იარაღის ომის საფრთხე. შეიქმნა მდგომარეობა, როცა მშვიდობის უზრუნველყოფისათვის საჭირო იყო გადამწყვეტი და მტკიცე ღონისძიებების მიღება.

ეი რა პირობებში იქნა მიღებული გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირში ატომური იარაღის გამოცდების მოწყობის შესახებ, რომელმაც კარგი სამსახური გაუწია სსრ კავშირისა და მისი მოკავშირეების თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებას, მთლიანად მშვიდობის შენარჩუნების საქმეს.

საბჭოთა მთავრობა არ შეასრულებდა თავის პირდაპირ მოვალეობას სსრ კავშირის ხალხთა წინაშე, ყველა სოციალისტური სახელმწიფოს, ყველა მშვიდობიმოყვარე ქვეყნის წინაშე, იმ დროს რომ არ ეზრუნა სსრ კავშირის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. საბჭოთა კავშირის მტკიცე მოქმედება საკმაოდ კარგი ცივი შხაპი აღმოჩნდა იმ თავგაბურებული ადამიანებისათვის, რომლებიც მზად იყვნენ უპასუხისმგებლოდ მოქცეულიყვნენ — საფრთხეში ჩაეგდოთ მშვიდობა, ხალხთა ბედი.

ამრიგად, არც სად გონებას, არც ლოგიკას, არც ფაქტებს არ შეესაბამება აბსურდული მტკიცება, თითქოს საბჭოთა კავშირი ატომური დაგოცდების ახლანდელი ტურის ინიციატორი იყოს, რამდენადაც მან განახორციელა ატომური იარაღის გამოცდები **1961** წელს. საბჭოთა კავშირმა, ისე როგორც წარსულში, თავისი ატომური იარაღის გამოცდებით უპასუხა ატომური იარაღის აფეთქებებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა განახორციელეს, მათს მუქარას, რომ აგრესიულ ომს ატეხდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ. უბრალო არითმეტიკა გვეუბნება, რომ საბჭოთა კავშირს, რომელმაც გაცილებით ნაკლები გამოსაცდელი ატომური აფეთქება განახორციელა, ვიდრე დასავლეთის სახელმწიფოებმა, ამის უცილობელი უფლება ჰქონდა. და ეს კარგად იციან დასავლეთის იმ წრეებმა, რომლებიც არ თაკილობენ უხეშ ცილისწამებას საბჭოთა კავშირის მიმართ, ცდილობენ გაამართლონ თავიანთი მოქმედები, თავიანთი აგრესიული პოლიტიკა.

დასავლეთის სახელმწიფოები რომ არ ებღაუჭებოდნენ გაკოტრებულ „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას, მათ რომ გამოეჩინათ საკმაო სიბრძნე და კიდევ უფრო არ გაეძლიერებინათ გამალებული ატომური შეიარაღება, **1961** წლის შემდგომაზე საბჭოთა კავშირში ატომური იარაღის გამოცდების დამთავრების შემდეგ არც ერთი ატომური აფეთქება არ მოხდებოდა ჩვენს პლანეტაზე. მხოლოდ სამართლიანი და ყოველმხრივ გამართლებული იქნებოდა, საბჭოთა ატომური იარაღის გამოცდებით რომ დამთავრებულიყო მთელი საქმე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა პირველმა, საბჭოთა კავშირზე მრავალი წლით ადრე დაიწყეს ატომური იარაღის გამოცდები, განახორციელეს ასობით გამოსაცდელი ატომური აფეთქება, რომელთაგან თვითეული ემსახურება არსებული ატომური იარაღის გაუმჯობესებასა და მისი ახალი ნიმუშების შექმნას. ამ პირობებში არა მარტო მორალი და სამართალი, არამედ აგრეთვე საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების ინტერესები მოითხოვს, რომ ატომური იარაღის გამოცდა უკანასკნელმა განახორციელოს საბჭოთა კავშირმა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ახლა ატომური იარაღის გამოცდების ახალი ტური რომ დაიწყეს, ამით აბუჩად აიგდეს ხალხები, ჩაიდინეს აქტი, რომელმაც ასეულ მილიონობით ადამიანის სამართლიანი აღშფოთება გამოიწვია. ყველგან განსაკუთრებით საშიშრად მიაჩნიათ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ატომური იარაღის გამოცდა დიდ სიმაღლეზე, რაც მოასწავებს გამალებული ატომური შეიარაღების გავრცელებას აგრეთვე კოსმოსურ სივრცეზეც. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ ანგარიში არ გაუწია მრავალი ქვეყნის გამოჩენილ მეცნიერთა, მათ შორის ამერიკელ მეცნიერთა გაფრთხილებას, რომლებმაც პროტესტის ხმა აღიმაღლეს ამ ექსპერიმენტების წინააღმდეგ, რომელთა საშიში შედეგების მასშტაბი ახლა ძნელი წარმოსადგენია. გასაკვირველი არ არის, რომ საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის ტრიბუნიდან, რომლის სხდომები ახლა მოსკოვში მიმდინარეობს, მრისხანედ დაგმეს ამერიკის შეერთებული შტატების ეს მოქმედება. ამ მოქმედების გამო შეშფოთებას ვერ ჩაახშობენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მოურიდებელი და თვალმაქცური განცხადებებით.

სახელმწიფო დეპარტამენტი, რომელიც ერთიმეორეზე ახუხულავებს სხვადასხვა უაზრობას, რათა გაამართლოს ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა, ცდილობს ისე დახატოს საქმე, თითქოს ამერიკის შეერთებული შტატები ზრუნავენ ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დადებისათვის და თითქოს კიდევაც ცდილობენ დაითანხმონ საბჭოთა კავშირი ასეთი ხელშეკრულების ხელმოწერაზე. შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, რომელიც ამჟამად ხელისუფლების სათავეშია, მოსპო თავის წინამორბედთა მთელი არქივები. ამ არქივებში კი ცოტა როდია დოკუმენტები, რომლებიც უცილობლად მოწმობენ, თუ როგორ დაეუნებთან უწევდნენ წინააღმდეგობას მრავალი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატები ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თვით საკითხის დაყენებას და უარს ამბობდნენ მონაწილეობა მიეღოთ რაიმე მოლაპარაკებაში ამ საკითხზე. ხოლო როცა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მაინც იძულებული გახდა დაეწყო მოლაპარაკება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის საკითხზე, მან ყოველი ღონე იხმარა, რათა ჩაეფუშა ეს მოლაპარაკება — წამოაყენა შეუსაბამო მოთხოვნები, რომ სსრ კავშირისა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების ტერიტორიების კარი გაეღო დაუბრკოლებელი სამხედრო ჯაშუშობისათვის ნატოს შტაბების სასარგებლოდ. ამ პოზიციას იცავდა ეიზენჰაუერის მთავრობა, ამ პოზიციას იცავს კენედის მთავრობაც.

არა, ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ მოლაპარაკების უშედეგობის მიზეზი ის კი არ არის, რომ საბჭოთა კავშირი არ თანხმდება საჭირო კონტროლის დაწესებაზე, როგორც ამას ამტკიცებს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი. ამის მიზეზი ის არის, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურთ შეწყვიტონ გამოცდები და ოყოფენ მეცნიერულად დასაბუთებულ წინადადებებს ისეთი საერთაშორისო შეთანხმების დადების შესახებ, რომელიც ითვალისწინებს კონტროლის განხორციელებას ატომური იარაღის აფეთქებათა აღმოჩენის ეროვნული საშუალებებით. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მათმა მოკავშირეებმა არ მიიღეს არათუ წინადადება გამოცდების შეწყვეტის შესახებ, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა, არამედ აგრეთვე არ მიიღეს ნეიტრალისტური სახელმწიფოების კომპრომისული წინადადება, რომელიც ა. წ. **16** აპრილს შეიტანეს განიარაღების საკითხთა **18** სახელმწიფოს კომიტეტში.

იქნებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტს მიაჩნია, რომ ნეიტრალისტური სახელმწიფოების წინადადებების გადაყრა შეიძლებოდეს ამ სახელმწიფოებისადმი ყურადღებისა და პატივისცემის გამოჩენას? მაგრამ თუ ეს ასეა, მაშინ რაღა ეწოდება ნეიტრალისტურ სახელმწიფოთა აზრის უგულებელყოფას? რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, მან უკვე განაცხადა, რომ მზად არის შეთანხმების საფუძვლად მიიჩნიოს ამ სახელმწიფოების გეგმა.

ასეთია უცილობელი ფაქტები, და ისინი ქვას ქვაზე არ ტოვებენ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ყალბი ვერსიისაგან.

მოსკოვი, 1962 წლის 13 ივლისი.



**მოსკოვი.** საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესი. **სურათზე:** ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის იაპონიის კომიტეტის თავმჯდომარე კაორუ იასუი ესაუბრება კინორეჟისორ გ. ალექსანდროვსა და მწერალ ნ. ტიხონოვს (მარჯვნივ).

ფოტო ვ. სობოლევისა. (საკლესის ფოტოქრონიკა).

## საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე



# კონგრესის დელეგატების უფლებამოსილებანი პროფესიების მიხედვით

**მოსკოვი,** 13 ივლისი. (საკლესი). მშვიდობისათვის — დედამიწის ყველა ხალხის ყველაზე სანუკვარი მიზნისათვის — კეთილშობილური ზრუნვით გამსქვალული ყოველი სიტყვა, წარმოთქმული საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის მსოფლიო კონგრესის ტრიბუნიდან, რომლისკენაც ხუთი დღეა მიპყრობილია კაცობრიობის ყურადღება. ეს მთავარი თემა გაისმის აფრიკისა და ევროპის, აზიის, ავსტრალიისა და ამერიკის დელეგატების სიტყვებში.

ფართო თავისუფალმა დისკუსიამ, რომელიც გაიშალა საერთაშორისო ფორუმზე, საშუალება მისცა მის ყოველ მონაწილეს გულახდილად გამოთქვას თავისი თვალსაზრისი პრობლემებზე, რომლებიც მთელ კაცობრიობას აღელვებენ.

ამ ყოველმხრივ შესაძლებლობებს მშვიდობისათვის სხვადასხვა მოძრაობის წარმომადგენელნი სავსებით იყენებენ კონგრესის პლენარულ სხდომებზე, კომისიებსა და ქვეკომისიებში, რომლებიც განხილავენ საყოველთაო და სრული განიარაღების კონკრეტულ საკითხებს: პოლიტიკურ, ტექნიკურ და ეკონომიურ ასპექტებს, ეროვნული დამოუკიდებლობის, სამართლის, კულტურისა და მორალის პრობლემებს.

ევროპის, ამერიკის, აზიისა და აფრიკის ქვეყნების პარლამენტების წევრთა დიდი ჯგუფის შეხვედრა გაიმართა კრემლის სასახლეში. ისინი განიხილავდნენ განიარაღებისა და მშვიდობის განმტკიცების საკითხებს ეროვნული პარლამენტების მოღვაწეობის ასპექტით.

ფართო დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს იაპონიის, ჩილის, საბჭოთა კავშირის, ბულგარეთის, განისა და სხვა ქვეყნების პარლამენტთა წევრებმა.

თავის გამოსვლაში **ისამუ აკამაცუმ** (იაპონია) აღნიშნა, რომ პარლამენტის წევრები იაპონიის სოციალისტური პარტიისგან, რომელშიც იგი თვითონ შედის, გადაჭრით ილაშქრებენ ამერიკა-იაპონის სამხედრო ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც მილიტარიზმის იარაღია, მოითხოვენ უატომო ზონის შექმნას შორეულ აღმოსავლეთში, ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას თავიანთ ქვეყანაში.

ჩვენ მიგვაჩნია, ამბობს ისამუ აკამაცუ, რომ ამ ჩვენს მოღვაწეობას მხარს დაუჭერენ მსოფლიოს ყველა პარლამენტის წევრები, რომლებიც იბრძვიან განიარაღებისათვის, ახალი ომის თავიდან აცილებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ **ი. ი. პალეცკისმა** შეიტანა წინადადება, რათა ყველა პარლამენტის დეპუტატები იბრძოდნენ იმისათვის, რომ მათი ქვეყნების უმაღლესმა სახელმწიფო ორგანოებმა მიიღონ კანონი ომის პროპაგანდის აკრძალვის, სამხედრო ბიუჯეტების შემცირების შესახებ, მოითხოვდნენ იმას, რომ ნატოსა და ვარშავის ხელშეკრულებათა ქვეყნებს შორის დაიდოს შეთანხმება თავდაუსხმელობის შესახებ, იბრძოდნენ იმისათვის, რომ განხორციელდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკლარაცია კოლონიური სისტემის სრული ლიკვიდაციის შესახებ.

ეს, ამბობს ი. ი. პალეცკისი, პარლამენტის წევრთა საუკეთესო წვლილი იქნება ხალხთა ბრძოლაში მშვიდობისათვის, საყოველთაო განიარაღებისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის.

ჩილის პარლამენტის დეპუტატი **ხორხე არავენა** გამოვიდა ლათინური ამერიკის ქვეყნების პარლამენტების წევრთა სახელით, რომლებიც კონგრესს ესწრებიან, და თქვა, რომ დეპუტატების მთავარი ამოცანაა დააჯერონ თავიანთი პარლამენტები და მთავრობები, რომ საჭიროა შემცირდეს სამხედრო ბიუჯეტები და განთავისუფლებული სახსრები მოხმარდეს მშვიდობიან მშენებლობას. მისი წინადადებაა, რომ კონგრესმა ამგვარი რეკომენდაციები შეიტანოს თავის გადაწყვეტილებებში.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტის ყოფილმა წევრმა **არნო ბერიშმა,** რომელიც გამოვიდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიიდან პროტესტის ნიშნად გამალებული შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ეს პარტია ახორციელებს, შეიტანა წინადადება, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გამოირიცხოს ნატოს აგრესიული ბლოკიდან, ხოლო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გადიდეს ვარშავის პაქტიდან. მისი აზრით, ეს სამსახურს გაუწევს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

მან შეიტანა წინადადება, რომ 20 მილიარდი მარკა, რომელსაც ამჟამად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა ხარჯავს შეიარაღებისათვის, გადასცენ სპეციალურ საერთაშორისო ფონდს იმ ქვეყნებს შორის გასანაწილებლად, რომლებიც ჰიტლერული აგრესიის მსხვერპლნი გახდნენ. ამით, თქვა არნო ბერიშმა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გამოაკლდება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც მილიტარიზაციის გზას დაადგნენ, და მთელი გერმანიის ეკონომიური ძალიერება მოხმარდება ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებას.

ჩვენ ვიცით, თქვა განის პარლამენტის წევრმა **ნ. ა. უელბეკმა,** რომ ბევრი ქვეყნის მთავრობები გაცილებით უფრო მეტ სახსრებს ხარჯავენ შეიარაღებისათვის, ვიდრე მშვიდობიანი მეურნეობის განვითარებისათვის, განათლებისათვის, ჯანმრთელობის დაცვისა და საბინაო მშენებლობისათვის. ჩვენი ქვეყნების პარლამენტების საშუალებით ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ ძირეულად შეიცვალოს ბიუჯეტები მშვიდობიანი მიზნებისათვის გათვალისწინებული ხარჯების გასადიდებლად. მშვიდობისა და განიარაღებისათვის ბრძოლა მეჩიდროდ დაკავშირებულია კოლონიალიზმის ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლასთან. შეუძლებელია მტკიცე მშვიდობა, სანამ არსებობენ დამონებული ხალხები. ჩვენ, პარლამენტებმა, განაცხადა ნ. ა. უელბეკმა, ყველა ხელმისაწვდომი საშუალებით უნდა გავუწიოთ დახმარება ქვეყნებს, რომლებიც თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან.

სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს დეპუტატმა **გ. ა. ჟუკოვმა** მხარი დაუჭირა განელი პარლამენტარის წინადადებას სხვადასხვა ქვეყნის პარლამენტების წევრთა უფრო რეგულარული შეხვედრების შესახებ. მან საჭიროდ მიიჩნია აგრეთვე, რომ უფრო მჭიდრო ორმხრივი კონტაქტები დამყარდეს პარლამენტებს შორის, როგორც ეს უკვე იყო სსრ კავშირის, საფრანგეთის, ინგლისისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის პარლამენტებს შორის. გ. ა. ჟუკოვმა მხარი დაუჭირა კოლეგებს, რომლებიც გადაჭრით მოითხოვენ, რომ პარლამენტებმა მიიღონ კანონი ომის პროპაგანდის აკრძალვის შესახებ და შეიტანა წინადადება, რომ პარლამენტებმა თავიდან ააცილონ მოზარდ თაობას გამხრწნელი გავლენა მილიტარისტული პროპაგანდისა, რასაც პრესის, კინოს, რადიოს, ტელევიზიის საშუალებით ეწევიან.

დისკუსიაში გამოვიდნენ ბულგარეთის, ინდონეზიის, ინდოეთის, ცეილონის, მალეგაშის რესპუბლიკის, იუგოსლავიის, საბერძნეთის, ნიგერიისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენელნი. მათ აგრეთვე შეიტანეს მთელი რიგი კონკრეტული წინადადებანი, რომელთა მიღება ხელს შეუწყობდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

შეხვედრის მონაწილეებმა შეიმუშავეს თავიანთი რეკომენდაციები კონგრესისადმი. ისინი ურჩევენ პარლამენტებს: დარაზმონ საზოგადოებრივი აზრი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობის გამნმტკიცებისათვის საბრძოლველად, კანონმდებლობის გზით აკრძალონ ომის პროპაგანდა, მიიღონ ღონისძიებანი კოლონიალიზმის საბოლოო ლიკვიდაციისათვის, შალონ ყველა სამხედრო ბლოკი, მოახდინონ უცხოეთის ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაცია. მოითხოვონ, რომ დაიდოს შეთანხმება ატომური იარაღის გამოცდების შეწყვეტის შესახებ, მუდმივი კონტაქტები იქონიონ ყველა ქვეყნის პარლამენტარებს შორის, საჭიროა შეიმუშავონ მოიწვიონ პარლამენტარების საერთაშორისო ყრილობა.

კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში ერთმანეთს შეხვდნენ პროფკავშირული ლიდერები ათობით სხვადასხვა ქვეყნისა — იხვლისიდან ავსტრალიამდე და ბრაზილიიდან ინდონეზიამდე.

მათ მიესალმა საბჭოთა პროფკავშირების ხელმძღვანელი **ვ. ვ. გრიშინი,** რომელმაც ქმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მთელი მსოფლიოს ხალხთა წარმომადგენელნი სწორედ მოსკოვში შეიკრიბნენ, რათა ეანონიერონ თავიანთი საერსებო საჭიროებანი. მან იმედი გამოთქვა, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლები, რომელი ქვეყნიდანაც უნდა იყოს ისინი ჩამოსულნი, შეძლებენ საერთო ენა გამონახონ ერთმანეთთან.

ვ. ვ. გრიშინმა განაცხადა, რომ პოზიცია, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა კონგრესზე, არის სწორედ საბჭოთა პროფკავშირების პოზიცია, რომლებიც მშვიდობისათვის, განიარაღებისა და მშრომელთა უფლებებისათვის მებრძოლ ორგანიზაციას წარმოადგენენ.

**პრესი ხელჩერმა,** ინგლისის თამბაქოს მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის გენერალურმა მდივანმა, განაცხადა, რომ ომი სავსებით გამოირიცხება საზოგადოების ცხოვრებიდან, თუ მთელი მსოფლიოს მშრომელნი ერთიანან ინტერნაციონალად გაერთიანდებიან.

მეტად საჭიროა, თქვა მან, ყოველმხრივი დახმარება გაეგუწიოთ ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნების პროფკავშირულ მუშაკებს რეაქციულ მილიტარისტული ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში.

**ჟერმენა გიიეს,** საფრანგეთის შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანს, პროფკავშირების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია განუმარტონ მშრომელებს, რომ შეიარაღების ზრდის პოლიტიკა დამღუპველია.

აღნიშნა რა, რომ საფრანგეთი ზედიზედ მრავალი წლის მანძილზე აწარმოებდა კოლონიურ ომებს და სამხედრო მიზნებისათვის ყოველწლიურად ხარჯავდა ბიუჯეტის მესამედს, მან განაცხადა: „ახლაც, ალჟირში ომის შეწყვეტის შემდეგ, მთავრობის პოლიტიკა უკეთესი მომავლის იმედს არ იძლევა“.

**მირაჯკარმა,** სრულიად ინდოეთის პროფკავშირთა კონგრესის პრეზიდენტმა თქვა, რომ მისი ქვეყნის მთავრობა მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას ახორციელებს. ჩვენს ქვეყანაში, — განაცხადა ორატორმა, — მიაჩნიათ, რომ საყოველთაო განიარაღების განხორციელება ეკონომიურ აყვავებას მოიტანს.

მშვიდობის საკითხი, განაცხადა, ნიგერიის პროფკავშირთა წარმომადგენელმა **გუდლაკმა,** მჭიდროდ დაკავშირებულია დამოუკიდებლობის პრობლემასთან. იმპერიალისტები ყოველნაირად ცდილობენ ხელი შეუშალონ აფრიკის სახელმწიფოთა ეროვნული სუვერენიტეტის განმტკიცებას, ხიგერიის პროფკავშირთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გახუმარტონ მშრომელებს იმპერიალისტური პოლიტიკის არსი.

ჩვენს მუშაობას, განაგრძო ორატორმა, ხელს უშლის გამთიშველი მოქმედება პროფკავშირული ლიდერებისა, რომლებმაც ხალხის ინტერესებს უღალატეს. ჩვენ ვთხოვთ პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციას დაეხმაროს ჩვენს პროფკავშირულ მოძრაობას.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის მდივანმა **იბრაგიმ ზაკარიამ,** რომელიც შემდეგ გამოვიდა, რწმენა გამოთქვა, რომ ფედერაცია წარმატებით შეასრულებს თავის დიად მისიას — გააერთიანებს სხვადასხვა ქვეყნის მშრომელებს მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის საბრძოლველად.

საბერძნეთის წარმომადგენელმა **იოანნის დემიტრ ლაგოსმა** ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ იბრძვის ბერძენი ხალხი რეაქციონერთა ცდების წინააღმდეგ პარლამენტში გაიყვანონ ანტიდემოკრატიული კანონმოყოლეტები. მსოფლიო პროფკავშირული მომრაობის მხარდაჭერა, განაცხადა ლაგოსმა, გამაძლიერებს ბერძენ ხალხს მოგვცემს ჩვენს ბრძოლაში.

იაპონიის პროფკავშირულმა მოღვაწემ **იორეი კოიამმ** დელეგატებს მოაგონა ხიროსიმისა და ნაგასაკის საშინელებანი და ყველა ქვეყნის პროფკავშირულ მუშაკს მოუწოდა გააძლიერონ პროპაგანდა ატომური საფრთხის წინააღმდეგ.

— მე წარმოვადგენ მუშებს, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ძლიერი დამოუკიდებელი პროფკავშირული ორგანიზაცია, — თქვა ტანგანიკის წარმომადგენელმა **რვეგაზორამ.** — მაგრამ სწორედ ამიტომ ჩვენ მგზნებარედ მივისწრაფვით ასეთი ორგანიზაციისაკენ. ჩვენი ხალხი მეტისმეტად ბევრ ტანჯვასა და დამცირებას იტანდა, და ახლა მთელი ძალები დავრაზმეთ ჩვენი უფლებების აღსადგენად. დიდ იმედებს ვამყარებთ მთელი მსოფლიოს მუშათა დახმარებაზე და მათს სოლიდარობაზე, რაც ახალ ძალას მოგვცემს ტანგანიკის ხალხის უფლებებისათვის ბრძოლაში.

კუბის შრომის კონფედერაციის წარმომადგენელმა **ელადიო კარანსამ** დამსწრეთ კმაყოფილება გამოთქვა ეროვნული პროფკავშირებისა, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ ახალი სახელმწიფოს — რევოლუციური კუბის მშენებლობაში.

ჩვენი პროფკავშირების ძირითადი ამოცანაა, — თქვა ორატორმა, — დარაზმონ მშრომელები მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომისათვის. მაგრამ დაე იცოდნენ აგრესორებმა, რომ ჩვენი მუშები მზად არიან ყოველ

# კონგრესის დელეგაციების შეხვედრები

## პროფესიების მიხედვით

(დასასრული)

გახდეს ეს ძვირადღირებული მეთოდი, საბოლოო ანგარიშით, ხმარდება ატომურ მოწყობილობათა შექმნას. მათ აფეთქებას კი, როგორც დამტკიცებულია, სარგებლობა არ მოაქვს ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

მექსიკის დელეგატებს — დოქტორ **სალვადორ მარტინეს კარდენასსა** და დოქტორ **მონტან


**ს საქიროდ მიაჩნიათ შეიქმნას ექსპერტთა კომისია, რომელიც შეისწავლის ინფორმაციას ყოველი აღმოჩენის შესახებ რადიოაქტიური გამოსხივების გამოყენების დარგში, სასარგებლო იქნება იგი თუ საზიანო. მათ აგრეთვე წინადადება წამოაყენეს, რომ კონგრესმა მიიღოს დეკლარაცია, რომელშიც ჩამოყალიბებულ უნდა იქნას ექიმთა თვალსაზრისი ექსპერიმენტულ ატომურ აფეთქებებზე.

შეხვედრაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი **ნ. ნ. ბლოხინი**, ამავე აკადემიის ვიერ-კორეს-პონდენტი მოსკოვის პირველი სამედიცინო ინსტიტუტის რექტორი **ვ. ვ. კოვანოვი** და სხვა თვალსაჩინო მეცნიერები — სხვადასხვა ქვეყნის მედიკები.

აზრთა თავისუფალი გაზიარების დროს საკითხებზე, რომლებიც აღელვებს ყველა მედიკს, გამოვიდა 32 კაცი 21 სახელმწიფოდან. მაგრამ უკვე პირველი გამოსვლების შემდეგ ცხადი გახდა, რომ ყველა სპეციალობის ექიმებს უწინარეს ყოვლისა აინტერესებთ პრობლემა — მზარდი რადიაციული ფონი და მისი მოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე.

დოქტორმა **ალეხანდრო ხაკმა** (ჩილი) მოიყვანა სტატისტიკური მონაცემები, რომელთა თანახმად შესაძლო ატომურ კონფლიქტში პირველ დღეებში დაიღუპება დედამიწის მოსახლეობის მესამედი, ხოლო გადარჩენილნი ვერ წარმოშობენ ჯანმრთელ თაობას.

ორატორთა მოსაზრებანი, რომელთა მიზანია გზა გადაუღობონ ატომურ საფრთხეს, გათვალისწინებულია კომუნიკის პროექტში, რომელიც წარედგინება კონგრესის პრეზიდიუმს.

კომუნიკე სახავს ყველა ქვეყნის მშვიდობისათვის მებრძოლ მედიცინის მუშაკთა მოქმედების პროგრამას. მისი მთავარი დებულებანია შემდეგი: ყველა სამედიცინო ფორუმზე, მიუხედავად მათი სპეციალური მიმართულებისა, მშვიდობისათვის ბრძოლის პრობლემა უნდა დაისვას როგორც მთავარი პრობლემა ადამიანის ჯანმრთელობისა და ხანგრძლივი სიცოცხლისათვის ბრძოლაში; დაწერილებით უნდა გააცნონ მოსახლეობას ატომურ აფეთქებათა დამღუპველი შედეგები; წარმოებდეს იმ სამეცნიერო ინფორმაციის უაღრესად ფართო გაცვლა, რომელიც შეეხება რადიაციასთან დაკავშირებულ პათოლოგიათა მკურნალობასა და პროფილაქტიკას.

„მშვიდობის მწერალთა უნიკალური კრება“ უწოდა **ალექსი სურკოვმა** კონგრესის დელეგატ ლიტერატორთა შეხვედრას, რომელიც მოსკოვის ლიტერატურის სახლში გაიხსნა.

შეეინარჩუნოთ მშვიდობა, არ დავუშვათ ომი — ეს აზრი იყო მთავარი ყველა კონტინენტის ლიტერატურის წარმომადგენელი ორატორთა გამოსვლებში.

ფრანგმა მწერალმა **ჟან-პოლ სარტრმა** ჩამოაყალიბა თავისი იდეა — მსოფლიო კულტურის გაერთიანება „ცივი ომის“ გავლენისაგან მისი განთავისუფლების გზით. მას მიაჩნია, რომ თანამედროვე მსოფლიო კულტურას ემუქრება არა მარტო დამანგრეველი ომი, არამედ „ამერამად არსებული დაყოფაც, რომლის გამო კულტურული ფასეულობანი კარგავენ თავიანთ უნივერსალურ, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას“.

„ჩვენ უნდა განვაიარაღოთ კულტურა, — თქვა ფრანგმა მწერალმა, — გადავაქციოთ იგი მშვიდობის იარაღად“.

აზრი მწერალთა ერთიანობის შესახებ იყო ევროპის მწერალთა გაერთიანების გენერალური მდივნის **ჟანკარლო ვიგორელის** სიტყვის ღერძი. ჩვენ არ გვინდა, თქვა მან, რომ კულტურის მოღვაწეები გათიშული იყონ, როგორც სურთ ეს ომის მომხრეებს. ამიტომ ჩვენი ორგანიზაცია მხარს უჭერს ყველა კონტინენტის მწერალთა კონტაქტებს. ასეთი გაერთიანება, იდეოლოგიის სხვადასხვაობის მიუხედავად, შესაძლებელია, თუ ამას მოისურვებენ, განაცხადა ვიგორელიმ, ჩვენ მზად ვართ შევკრებოთ მრგვალ მაგიდასთან და შევქმნათ მსოფლიოს მწერალთა ასოციაცია.

ლიტერატორთა მოვალეობის, კულტურის ბედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მაზნებარე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა მწერალმა **კონსტანტინე ფედინმა.** თუ ომი ატყდა, თქვა მან, კულტურა დაიღუპება. მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ხელი შევუშალოთ ამას, რადგან ლიტერატურის ძალები გიგანტურად დიდი.

„ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ შევიკრიბეთ ამ ადამიანის ხელის ქმნილებათა დასაცავად და რაც ყველაზე მთავარია— ადამიანის სიცოცხლის დასაცავად, — ამბობს ინდოეთის წარმომადგენელი **ნილმანი პხუკანი.** — ყველა მწერალს უნდა შეაჭოდეს თავისი წვლილი განიარაღების საქმეში“.

ლიტერატურასა და ხელოვნებაში ომის პროპაგანდის წინააღმდეგ გამოვიდა ინგლისელი მწერალი **რონალდ სუმპსონი.** მან დეკადენტური უწოდა ლიტერატურას, რომელიც ადამიანის კეთილდღეობას არ ემსახურება.

საბჭოთა მწერალმა **ილია ერენბურგმა** თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ახლა ლიტერატურის განვითარება მთელ მსოფლიოში ჩამორჩება ტექნიკურ პროგრესს, მისი წინადადებაა მთელი მსოფლიოს მწერალები შეიკრიბონ „მრგვალ მაგიდასთან“ და მოიფიქრონ, როგორ დაეხმარონ ლიტერატურას დაიკავოს ადგილი, რომელიც მას შეეფერება.

საბჭოთა მწერალ ინიციატივას მხარი დაუჭირეს სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა, კერძოდ, **პაბლო ნერუდამ** (ჩილი) და **მულკ რაჯ ანანდამ** (ინდოეთი).

მწერლებმა ყოველი ღონე უნდა იხმაროონ, რომ ატომური ბომბისაგან დაიცვან ბავშვები, რომელთა შორის იზრდებიან ახალი პუშკინები და სერვანტესები, თქვა ჰავანის უნივერსიტეტის რექტორმა **ხუან მარინელლომ.** ჩვენი წმიდათა წმიდა ამოცანაა, ხაზგასმით აღნიშნა, მან, ბრძოლა განიარაღებისათვის.

ინდოელმა მწერალმა დოქტორმა **ბ. ს. უპადჰაიამ** თქვა, რომ მოიარა მსოფლიო და დარწმუნდა, რომ საარსებოდ საჭიროა კულტურის მოღვაწეთა ძალების კონსოლიდაცია. ასეთი გაერთიანება, მისი აზრით, შოვინიზმის მოსპობის რადიკალური საშუალებაა.

დისკუსიაში მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ქვეყნის 30 ლიტერატორმა.

მწერალთა ფორუმმა აირჩია კომისია, რომელიც მომზადებს მომართვას მსოფლიო კულტურის მოღვაწეებისადმი. კომისიაში შეეიდნენ ილია ერენბურგი, ჟან-პოლ სარტრი, ჯანკარლო ვიგორელი, პაბლო ნერუდა, ანა ზეგერსი, სემბენ უსმანი და სხვა მწერლები. მომართვის ტექსტი განიხილება კვირას, როცა მწერლები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს ლიტერატურის სახლში.

მშვიდობისათვის ბრძოლის საარსებო ამოცანები განიხილეს იტალიის, იაპონიის, საფრანგეთის, საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების მერებმა და მუნიციპალიტეტთა წევრებმა — კონგრესის მონაწილეებმა, ისინი შეეკრიბნენ კავშირების სახლის ერთ-ერთ დარბაზში.

თავმჯდომარემ **პოტონელი ჯოვანმა,** იტალიის ქალაქ მარცაბოტოს მერმა, წინადადება წამოაყენა დისკუსიას საფუძვლად დაედოს პროექტი მიმართვისა მსოფლიოს ქალაქებისა და მუნიციპალიტეტებისადმი. ეს მიმართვა მოუწოდებს მათ გააქტიურონ ბრძოლა მშვიდობის დასაცავად, უფრო ფართოდ გაავრცელონ ძმური ურთიერთობა სხვადასხვა ქვეყნის მუნიციპალურ ორგანიზაციათა შორის.

გრინვიჩის (ინგლისი) მერის მოადგილემ **პეგი მიდლტონმა** თქვა, რომ მიმართვის პროექტში, საჭიროა აღინიშნოს კონკრეტული ღონისძიებანი, რომლებიც შეიძლება გამოიყენონ მუნიციპალურმა ორგანიზაციებმა იმისათვის, რომ ჩაბნეს ქალაქის მოსახლეობა მშვიდობისათვის მოძრაობაში.

იაპონიის წარმომადგენელმა **ნაბუიოში კოგამ** (ფუკუოკას დეპარტამენტი) ილაპარაკა ქალაქ იახატის და ახლომდებარე სოფლების მოსახლეობის ბრძოლაზე ამერიკის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის. მან ხაზი გაუსვა, რომ მუნიციპალიტეტებს, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მოსახლეობასთან, შეუძლიათ შეიტანონ და უნდა შეიტანონ თავიანთი წვლილი მშვიდობისა და ომის პრობლემის გადაჭრაში.

მოსკოვის მცხოვრებთა სახელით შეკრებილებს მიესალმა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის მდივანი **ა. მ. პეგოვი.** მან განაცხადა, რომ სსრ კავშირის დედაქალაქს მეგობრული ურთიერთობა აქვს დამყარებული მსოფლიოს ბევრ დედაქალაქთან, ხოლო საბჭოთა კავშირის ბევრმა ქალაქმა დაამყარა და ამყარებს ურთიერთობას სხვადასხვა ქვეყნის ქალაქების ხელისუფლებთან... მოსკოვის მცხოვრებები, ისევე როგორც მთელი **საბჭოთა ხალხი.** ერთსულოვნად მოიხოხოვენ საყოველთაო განიარაღებასა და მშვიდობას.

თავმჯდომარის **ბეტონელი ჯოვანის** წინადადებით დისკუსიის მონაწილეებმა შექმნეს სარედაქციო კომიტეტი, რომელმაც შეიმუშავა მოწოდება ყველა ქვეყნის ქალაქებისა და საქალაქო თემების მერებისადმი.

მიმართვაში მოცემულია რეკომენდაცია იკისრონ „პასუხსაგები მისია მშვიდობის შენარჩუნებისათვის ბრძოლაში“, მუნიციპალური საბჭოების სხდომებზე განიხილონ ღონისძიებები, რომელთა მიზანი ის არის, რომ „თვითმმართველობის ყოველი ადგილობრივი ორგანო გადდეს მოსახლეობის ორგანიზაციის ცენტრი მშვიდობისათვის საბრძოლველად“. მიმართვა მოითხოვს საყოველთაო კონტროლს დაკვემდებარებულ განიარაღებას.

გაცხოველებული დისკუსია გაიმართა ავშორების ხასლის სვეტებიან დარბაზში, სადაც შეიკრიბნენ საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები, თეორეტიკოსი იურისტები, ადვოკატები. ამ შეხვედრას, რომელსაც თავმჯდომარეობდა დემოკრატი იურისტების საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტი პროფესორი **პიერ კოტი** (საფრანგეთი), გამოვლინა იურისტთა შეხვედრებანი საერთაშორისო კანონმდებლობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღებისათვის ბრძოლასთან.

დისკუსიაზე გამოვიდა პროფესორი **ბ. ჰ. მაჰეშვარი** (ინდოეთი), რომელმაც აღნიშნა, კერძოდ, რომ საჭიროა ძირეული ცვლილებანი მოხდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებში იმასთან დაკავშირებით, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოებნი შეიქმნა აფრიკასა და აღმოსავლეთში.

პროფესორი **კარლ ბონნევი** (ნორვეგია), ხოლო მის შემდეგ პროფესორი **თევდორე კოფევნიკოვი** შეეკამათნენ ინდოელ კოლეგას და განაცხადეს, რომ არ შეიძლება უარვყოთ საერთაშორისო სამართლის საფუძველთა საფუძველები. რომლებიც შეიქმნა ათწლეულთა განმავლობაში და რომლებიც ასახავენ ძირითადად კაცობრიობის სოციალური განვითარების კანონზომიერებებს. საკითხი ის არის, რომ მშვიდობიან საშუალებათა საერთო არსენალი — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება — განვასახიერთო კონკრეტული საერთაშორისო კანონებით. მაგალითად, განიარაღების საერთო საქიროების, რომელიც გათვალისწინებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებით, სავალდებულო საერთაშორისო კანონის ფორმა შეიძლება მიენიჭოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელმოწერილ იქნება ხელშეკრულება განიარაღების შესახებ. სწორედ ის არის ყველა ქვეყნის იურისტების ამოცანა, დასძინა თევდორე კოფევნიკოვმა, რომ მიაღწიონ იმას, რომ განიარაღების საერთო იდეა განასახიერონ ყველა სახელმწიფოსათვის სავალდებულო კანონის კონკრეტულ ფორმებში.

— რატომ სდევნიან მშვიდობისათვის მებრძოლ ადამიანებს? — ამ სიტყვებით დაიწყო თავისი გამოსვლა **ადოლფო მეხიამ** (მექსიკა). — ამაში ჩვენ, იურისტები, ხომ არა ვართ დამნაშავენი? ვფიქრობ, რომ როცა კონგრესიდან სამშობლოში დაბრუნდებით, ჩვენ უნდა შეეკითხოთ საკუთარ თავს: შეესაბამება თუ არა ჩვენი შეხედულებანი და იდეები ხალხის მოთხოვნებს, რომელსაც ჩვენ ემსახურებით? იურისტები, — აღნიშნა ადოლფო მეხია, — აღარ უნდა იყონ ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ფეხს იკიდებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, ზოგჯერ კი წარმოებს ომის პროპაგანდა.

მექსიკელ იურისტს მხარი დაუჭირეს **ედუარდო კორონამ** (კუბა), **ჟიულ ნაიდუმ** (რუმინეთი). მშვიდობისათვის ბრძოლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საფუძველია. განაცხადეს მათ. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კანონი ყოველ ქვეყანაში მართლაც სდევნიდეს ომის პროპაგანდას. ებრძოდეს მშვიდობისათვის მებრძოლნი. ამის რეალური მაგალითს გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის მთავრობა, რომელმაც კანონგარეშე გამოაცხადა ომის პროპაგანდასთან დაკავშირებული ყოველგვარი მოქმედება.

დისკუსიის ბევრმა მონაწილემ შეიტანა წინადადება დემოკრატი იურისტების საერთაშორისო ასოციაციის ფარგლებში სხვადასხვა ქვეყანაში შეიქმნას იურისტთა კომისიები, რომელთა ამოცანა იქნება ის, რომ ყოველმხრივ გამოიკვლიონ საერთაშორისო სამართლის საკითხები მშვიდობისა და საყოველთაო განიარაღების ბრძოლასთან დაკავშირებით.

იმის შესახებ, რომ უაღრესად საჭიროა დაუყოვნებლივი იურიდიული ჩარევა სახელმწიფოებს შორის ურთიერთობის ზოგიერთ საკითხში, ილაპარაკა პროფესორმა **ჯოვანი ალბანეზემ** (იტალია). „ანა არ ჩანს, მოელენარებით განაცხადა მან, რომ საერთაშორისო ნორმებს თელავენ შეერთებულ შტატებში, როცა ამ ქვეყნის მმართველი წრეები აცხადებენ, რომ ისინი, შესაძლოა, ინიციატივას გამოიჩენენ ატომურ კონფლიქტში.

დიდმნიშვნელოვანი საკითხი წამოაყენა თავისი კოლეგების წინაშე ვიეტნამელმა იურისტმა **ვუ ჩონგ ხანმა.** მე მაკვირვებს, თქვა მან, რომ ჰიტლერის ცუდ მაგალითს, რომელიც საერთაშორისო ხელშეკრულებებს ეკიდებოდა, როგორც ჩვრებს, მიმდევრები გამოუჩნდნენ. დასავლეთის სახელმწიფოები აღლეკვენ პოტსდამის შეთანხმებებს ბერლინის პრობლემის მოწესრიგების შესახებ. ხოლო სულ ცოტა ხნის წინათ შეერთებულმა შტატებმა ანგარიში არ გაუწიეს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და პროვოკაცია მოაწყეს კოსმოსში. ატომური ბომბი ააფეთქეს დიდ სიმაღლეზე და, ამრიგად, შეიკრნენ სფეროებში, რომლებიც პლანეტის ყველა ადამიანს ეკუთვნის. ეს ნამდვილი აგრესიაა კოსმოსში, განაცხადა ვუ ჩონგ ხანმა, და იურისტებმა უნდა შეიმუშაონ კანონები, რომლებიც არ დაუშვებენ ამგვარ მოქმედებას და — რაც მეტად დიდმნიშვნელოვანია, — განსაზღვრავენ, თუ რამდენ დიდი პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფოებს მათ მიერ საერთაშორისო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის.

ამ დისკუსიის მონაწილეთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა ინდოელი იურისტის **ა. ს. რ. ჩარის** წინადადება, რომ დაუყოვნებლივ ჩამოაყალიბონ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას გადასცენ ზუსტი განსაზღვრა, რომელიც დააწესებს სასჯელს სახელმწიფოებისა და ცალკეული პირებისათვის, რომლებიც ეწევიან ომის პროპაგანდას და სდევნიან მშვიდობისა და განიარაღებისათვის მებრძოლთ.

კონგრესის საერთაშორისო კომიტეტის წევრმა, დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციის წარმომადგენელმა **კარლოს ენიგუეზემ** (არგენტინა) ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლანდელი ახალგაზრდა თაობა განუყოფლად დაკავშირებულია დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნებასთან, ამისათვის კი ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რათა თავიდან აცილოთ ახალი ომი. ახალგაზრდათა და სტუდენტთა ყოველი ორგანიზაციის დროშაზე, განაცხადა ორატორმა, უნდა ეწეროს: „მშვიდობისათვის!“, ეს დევიზია, რომლითაც უნდა ვიცხოვროთ და ვიბრძოლოთ.

დისკუსიაში, რომელიც მიმდინარეობდა **ფერნანდეზის** (ვენესუელა) თავმჯდომარეობით, გამოვიდა კოსმონავტი მფრინავი საბჭოთა კავშირის გმირი **იური გაგარინი,** რომელსაც გულითადად შეხვდნენ შეკრებილნი, იგი სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდათა წარმომადგენლებს მიესალმა მეგობარი კოსმონავტი მფრინავების სახელით.

როცა საზღვარგარეთ მიხდებოდა ყოფნა, თქვა იური გაგარინმა, მუდამ განსაკუთრებული სიამოვნებით ვხვდებოდი ქალაშვილებსა და ჭაბუკებს. ინგლისსა და ბრაზილიაში, იაპონიასა და ინდოეთში — ყველგან მჭონდა ბევრი კარგი, გულთბილი, ნამდვილად მეგობრული შეხვედრა.

ახალგაზრდობას სურს განამტკიცოს ურთიერთობა ხალხებსა და ქვეყნებს შორის. ამის მკაფიო მაგალითი იქნება ახალგაზრდობისა და სტუდენტთა VIII მსოფლიო ფესტივალი, რომელიც ჰელსინკიში გაიმართება. ეს შეხვედრა, უეჭველ, კიდევ უფრო მჭიდროდ შეაკავშირებს ახალგაზრდა თაობას, განამტკიცებს მის მეგობრობას მშვიდობისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლაში.

ალბათ, მეც ვიქნები ფესტივალზე, თქვა საბჭოთა კოსმონავტმა. მინდა შეეხვედე რაც შეიძლება მეტ ქალაშვილსა და ჭაბუკს — სხვადასხვა ქვეყნისა და კონტინენტის წარმომადგენლებს.

თავის საინტერესო გამოსვლაში ინგლისის მშვიდობისათვის მებრძოლთა მოძრაობის წარმომადგენელმა **ეიბლის ჰიულეტმა** დამსწრეებს გაუზიარა განიარაღებისა და მტკიცე მშვიდობისათვის ინგლისელი ქალაშვილებისა და ჭაბუკების ბრძოლის გამოცდილება. ინგლისის მშვიდობისათვის ახალგაზრდა მებრძოლები მოითხოვენ უცხოელთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციას ინგლისის ტერიტორიაზე, ამერიკის „პოლარისის“ რაკეტებით შეიარაღებული წყალქვეშა ნავების გაყვანას ინგლისის წყლებიდან. ამ მოძრაობაში მონაწილეობენ სხვადასხვა სკოლის, უნივერსიტეტების, ახალგაზრდობის მთელი რიგი ორგანიზაციების ქალიშვილები და ჭაბუკები. ისინი მოითხოვენ აგრეთვე ატომური იარაღის აკრძალვას.

ე. ჰიულეტმა თქვა, რომ ფართო მოძრაობა ყველა ქვეყანაში უცხოეთის სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის სხვის ტერიტორიებზე უდიდეს სარგებლობას მოუტანს მშვიდობის საქმეს.

ამ აზრს შეუერთდნენ იაპონიის დელეგატი **ი. კაბაიანი,** ინდონეზიის დელეგატი **დ. სუკარდი** და დისკუსიის სხვა მონაწილენი.

ჩვენი ახალგაზრდობისათვის მშვიდობა ყველაზე დიდი და ყველაზე გულწრფელი სურვილია, განაცხადა სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ **პეტრე რეშეტოვმა.** თავის სიტყვაში მან დიდი ყურადღება დაუთმო კონტაქტების გაფართოებას საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ახალგაზრდა თაობას შორის.

სსრ კავშირის ახალგაზრდობის ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარემ კვლავ შესთავაზა ამერიკის ახალგაზრდობის ორგანიზაციებს მოაწყონ ორმხრივი კონფერენცია და იქ შეთანხმდნენ იმის გამო, რომ გაფართოვდეს ურთიერთობა, განხორციელდეს ერთობლივი ღონისძიებანი მშვიდობისა და უკეთესი ურთიერთგაგებისათვის ბრძოლის საფუძველზე.

ტრიბუნაზეა **მიშელ უინტერი** (ამერიკის შეერთებული შტატები), რომელიც გამოვიდა კონგრესის მონაწილე ამერიკელთა ნაწილის სახელით.

ქალიშვილმა განაცხადა, რომ მის ქვეყანაში მშვიდობისათვის ბრძოლის ბევრი აქტივისტია. ახალგაზრდა ამერიკელებმა, თუმცა არ იციან, თუ რა არის ომი, წარმოდგენილი აქვთ რა იგი რამდენადმე აბსტრაქტულად, მიუხედავად ამისა, ესმით, რომ დედამიწაზე უნდა შეეინარჩუნოთ მშვიდობა. მშვიდობისათვის მოძრაობა შეერთებულ შტატებში იზრდება და ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს მას. დელეგატმა განაცხადა, რომ საჭიროა აუცილებლად მივაღწიოთ საყოველთაო განიარაღებას.

ამერიკელმა დელეგატმა რწმენით ილაპარაკა, რომ მშვიდობისა და თავისუფლების ძალები გაიმარჯვებენ.

დასასრულ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს კონგრესის მონაწილე ქალაშვილთა და ჭაბუკთა მიმართვა მეგობარი კოსმონავტი მფრინავის სახელით.

როცა ამერიკელ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა განიხილეს ამერიკელ ქალაშვილთა და ჭაბუკთა მიმართვა, ამ მიმართვაში ისინი მოუწოდებენ გააქტიურონ ბრძოლა ახალი ომის საფრთხის წინააღმდეგ — საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, ყველა ქვეყნის ახალგაზრდობის მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებისათვის.

მეგობრულ შეხვედრაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენლებმა — სრულიად საკავშირო ალკ. ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა **ს. პავლოვმა, მ. ფურავლიოვამ, ა. კამშალოვმა** და სხვებმა.

ჟურნალისტებმა პატიოსნად უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა, უნდა დაეხმარონ ადამიანებს უკეთ გაიცნონ და გაუგონ ერთმანეთს, განაცხადა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის პრეზიდენტმა **ჟან-მორის ერმანმა** კონგრესის დელეგატ ჟურნალისტთა შეხვედრაზე.

შეხვედრაზე, რომელიც ჟურნალისტის ცენტრალურ სახლში გაიმართა, შეიკრიბნენ ბევრი ქვეყნის გაზეთების, რადიოს, ტელევიზიის, გამომცემლობათა მუშაკები.

„საბჭოთა ჟურნალისტები, — განაცხადა საკდესის გენერალურმა დირექტორმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის მდივანმა **დ. ბ. გორიუნოვმა,** — მთელ თავიანთ ძალღონეს და მთელ თავიანთ ტალანტს მოახმარენ იმას, რომ დაეხმარონ ხალხებს, რათა მიაღწიონ საყოველთაო განიარაღებასა და მტკიცე მშვიდობას“.

ჟურნალისტთა შეხვედრის თავმჯდომარემ **გორდონ შაფერმა** (ინგლისი) რწმენა გამოთქვა, რომ შეხვედრა ხელს შეუწყობს ყველა ქვეყნის ჟურნალისტთა დაახლოებას და მათს უფრო აქტიურ მონაწილეობას მშვიდობისათვის ბრძოლაში.

უნგრელ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ **არპად საკაშიმ** ხაზგასმით აღნიშნა, რომ მთელი მსოფლიოს ჟურნალისტებმა ხელი უნდა შეუწყონ საერთაშორისო ატმოსფერის განწმენდას ტყუილის, ყალბი კონცეპციებისა და მილიტარიზმისაგან.

„მასწავლებლებს შეუძლიათ შეიტანონ და უნდა შეიტანონ არსებითი წვლილი საყოველთაო განიარაღებისა და მშვიდობისათვის ბრძოლაში“—ეს აზრი გამოთქვა ჩილის მშვიდობის დაცვის ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარემ, „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიის ლაურეატმა **ოლღა პობლეტემ.**

ჩემი ჩილელი კოლეგები, განაცხადა ო. პობლეტემ, განიუწყვეტლივ იბრძვიან განათლების დემოკრატიზაციისათვის. სკოლების ქსელის გაფართოებასა და მასწავლებელთა კადრების მომზადებას ჩვენთვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ჩილეში დღემდე უწიგნურია მოსახლეობის 92 პროცენტი.

სუდანის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის, ბაზუტოლენდის, ტუნისის მასწავლებლებმა ილაპარაკეს დიდ სიძნელეებზე, რომელებსაც აწყდებიან განათლების მოღვაწეები აფრიკის ქვეყნებში.

ინდონეზიის წარმომადგენელმა **გუანმა** აღნიშნა, რომ ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ მისმა ქვეყანამ დიდ წარმატებებს მიაღწია სახალხო განათლების განვითარებაში. თუ ჰოლანდიელ კოლონიზატორთა ბატონობის პერიოდში ინდონეზიელთა 95 პროცენტმა არ იცოდა არც კითხვა, არც წერა, ახლა ინდონეზიაში უწიგნური დარჩა მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტი. რესპუბლიკაში გახსნილია 50 კოლეჯი და უნივერსიტეტი, ყოველ რაიონში არის საშუალო სასწავლებელი.

მეტი წიგნი, ნაკლები იარაღი! მეტი სკოლა, ნაკლები სამხედრო ყაზარმა! — კოლუმბიელი **დიეგო მონტანის** გამოსვლა ამ სიტყვებს განსაკუთრებით ხმირად იმეორებდნენ შეხვედრაზე. ამაზე ილაპარაკეს საფრანგეთის, იტალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სხვა სახელმწიფოთა დელეგატებმა.

დისკუსიაში თემაზე „აღზრდის როლი მშვიდობისათვის ბრძოლაში და მასწავლებელთა საქმიანობის პრაქტიკული ფორმები ამ ბრძოლაში“ მონაწილეობა მიიღეს 22 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

• • •

„საყოველთაო, სრული და კონტროლდაქვემდებარებული განიარაღება ჩვენი დროის საარსებო აუცილებლობაა“, — ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც მიიღეს სხვადასხვა ეკლესიისა და რელიგიური გაერთიანების მოღვაწეებმა — კონგრესის მონაწილეებმა, მათი შეხვედრა გაიმართა ქალაქ მოსკოვის ოლქის ქალაქ ზაგორსკში, ერთ-ერთი უძველესი რუსული მონასტრის ტროიცეა-სერგიევის ლავრაში.

მოსკოველთა და სრულიად რუსეთის პატრიარქმა **ალექსიმ,** რომელმაც მიიწვია კონგრესის დელეგატები საუბარში მონაწილეობის მისაღებად, თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ლავრაში უკვე მიმდინარეობდა ეკლესიათა და რელიგიურ გაერთიანებათა მოღვაწეების თათბირი მშვიდობის დასაცავად.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ბულგარეთის პატრიარქმა **კირილემ,** სომხეთის ეკლესიის პატრიარქ-კათოლიკოსმა **ვაზგენ პირველმა,** მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ლამამ **სამა გამბარეევმა,** პასტორმა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან **მოხალსკიმ,** მალის რესპუბლიკის ისლამური ასოციაციის პრეზიდენტმა **კონამ მახანმა,** სენეგალის, განისა და სხვა ქვეყნების რელიგიურმა მოღვაწეებმა. სიტყვები წარმოთქვეს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის, რუმინეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მოღვაწეებმა, ინგლისისა და საფრანგეთის ქრისტიანული ეკლესიების წარმომადგენლებმა. (საკდესი).

# მებრძოლი, ქმედითი პროპაგანდისათვის

**რესპუბლიკური თათბირი პოლიტიკური განათლების საკითხებზე**

**კაცობრიობა,** ყველა მშრომელის იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, მათი შეიარაღება მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე მოძღვრებით ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის ყოველდღიური და განსაკუთრებული ზრუნვის საგანი. ჩვენი დროის დიად დოკუმენტში — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში საზოგადოების ყველა წევრისათვის კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება, მათი პოლიტიკური აღზრდა დასახულია როგორც პირველხარისხოვანი ამოცანა. მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესწავლა, პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ღრმად გაგება ახლა ყველა საბჭოთა ადამიანისათვის სასიცოცხლო მოთხოვნილება გახდა.

კადრების, მშრომელთა პოლიტიკური გამოწრთობისათვის სკკპ XXII ყრილობის მითითებათა შესაბამისად გაწეული შუშაობის შედეგებს და ახალ ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში ახლახან გამართული რესპუბლიკური თათბირი. მის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებათა გამგეებმა, პროპაგანდისტებმა, პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების გამგეებმა, იდეოლოგიური დაწესებულებების და პრესის მუშაკებმა.

თათბირი გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **დ. სტურუამ.**

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის ამხ. **მ. გოგიჩაშვილის** მოხსენება „პოლიტიკური განათლების ქსელში 1961-196 სასწავლო წლის შედეგები და ახალი სასწავლო წლისათვის მზადების ამოცანები“.

### იდეური წრთობა კომუნისტური აღზრდის საფუძველია

საბჭოთა ხალხი წარმატებით იბრძვის კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის იმ დიდებული გეგმების ხორცშესხმისათვის, რომლებიც სკკპ XXII ყრილობამ შეიმუშავა. ყოველ დღეს მოაქვს სასიხარული ცნობები მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა სასახელო საქმეებზე.

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის ბრძოლის წარმატება წარმოუდგენელია, თუ არ უზრუნველყავით მშრომელთა შეგნებულობის ზრდა. კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდა-ფორმირება ჩვენი პარტიის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყ

# მეგრელი, ემუდმით პროპაგანდისათვის

(დასასრული)

საჭიროა ისე მოვაწყოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, რომ მან მოიცვას ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელი, თვითეული საბჭოთა ადამიანი.

რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა შარშან ცოტა როდი იმუშავეს იმისათვის, რომ გაეფართოებინათ პარტიული პროპაგანდის გავლენის სფერო. პოლიტიკური განათლება არასოდეს არ ყოფილა ისეთი ფართო და მასობრივი, ქმედითი, მიზანდასახული და კონკრეტული, როგორც გასულ სასწავლო წელს. გაბაცხადა თათბირზე პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **შ. ყარყარაშვილმა.** არასოდეს, თქვა მან, ჩვენს ქალაქში ისე არ იგრძნობოდა კომუნისტებისა და უპარტიოთა მასების ლტოლვა შეისწავლონ მარქსისტულ-ლენინური თეორია, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული საკითხები, როგორც ეს არის პარტიის XXII ყრილობის შემდეგ. სკკპ პროგრამასა და სხვა ისტორიულ დოკუმენტებს სწავლობდა 100 ათასზე მეტი კომუნისტი და უპარტიო მშრომელი.

ფართოდ გავრცელდა პოლიტიკურ სწავლებაში მშრომელთა მასობრივი ჩაბმის ისეთი სუფეთესო ფორმა, როგორიც არის დაწყებითი ტიპის ეკონომიური სკოლები და წრეები. იქ გასულ წელს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას სწავლობდა 32,404 კაცი — მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის მუშაკები, მექანიზატორები, ველ-მინდვრებისა და პლანტაციების მშრომელები.

მრავალი წლის გამოცდილებამ დაგვარწმუნა, თქვა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. ხვარცკავამ,** რომ მშრომელთა ეკონომიური სწავლების კარგად, ფართოდ მოწყობა მათი პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლების, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადასაწყვეტად აქტიური მობილიზაციის საუკეთესო საშუალებაა. მეტ წილ პირველად პარტიული ორგანიზაციებთან შექმნილ წრეებსა და სემინარებში, სადაც სწავლობენ პოლიტიკურ ეკონომიას, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკას, მეცადინეობა შინაარსიანი და ნაყოფიერია. მსმენელები ხშირად აყენებენ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა დახერგვას წარმოებაში მოაქვს არც თუ მცირე ეკონომიური ეფექტი.

თათბირზე აღინიშნა, რომ საჭიროა ეკონომიურ სწავლებაში აღმოვფხვრათ კონკრეტული ეკონომიკის შესწავლისა და შუამთა და კოლმეურნეთა მიერ საწარმოო კვალიფიკაციის ამაღლების კავშირის განყოფილებასა პოლიტიკურ განათლებასთან. იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაძლიერების, საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივ განვითარების მიზნით საჭიროა, როგორც ამას გვირჩევს სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მხარი დაუჭიროთ მშრომელთა, განსაკუთრებით მომუშავე ახალგაზრდობის, ცოდნის ამაღლების ისეთ ფორმებს, რომლებიც პოლიტიკურ სწავლებას მოხერხებულად უხამებენ საწარმოო და ზოგად განათლებას, ხელს უწყობენ არა მარტო პოლიტიკური მზადებულობისა და საწარმოო კვალიფიკაციის, არამედ წიგნიერების საერთო დონის ამაღლებას, ამ მიზნით საწარმოო დანიშნულების სკოლებში გათვალისწინებულია შესწავლილ იქნას სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხები „პოლიტიკური ცოდნის საფუძვლების“ სახელმძღვანელოს ბაზაზე.

ბევრი პარტიული ორგანიზაცია ფართოდ იყენებს მასობრივი პოლიტიკური პროპაგანდის ისეთ საშუალებებს, როგორიც არის თეორიული და ეკონომიური კონფერენციები, პოლიტიკური მოხსენებები, თემატური და კითხვა-პასუხის სალექციოები, დისპუტები და დისკუსიები, შეხვედრები წარჩინებულ ადამიანებთან. ბევრგან, პოლიტიკურ სკოლებსა და წრეებთან ერთად, თქვა პარტიის საოლქო კომიტეტისა და ბათუმის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების სახლის გამგემ ამხ. **ნ. თინეიშვილმა,** მეტად პოპულარული გახდა მარქსიზმ-ლენინიზმის სადამის, სასოფლო-სამეურნეო ცოდნისა და ქალთა უნივერსიტეტები, მოწინავეთა გამოცდილების სკოლები.

პოლიტიკური განათლების კაბინეტების მუშაობის საკითხებზე, მათ ამოცანებზე საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი პოლიტიკური განათლების კაბინეტებისადმი ხელმძღვანელობის საქმეში ილაპარაკა პარტიის თელავის რაიკომის პოლიტიკური განათლების კაბინეტის გამგემ ამხ. **ბ. წიკლაურმა.**

ამჟამად პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებში მუშაობს 1.300 შტატგარეშე ინსტრუქტორი, 3.500-ზე მეტი ლექტორი და პოლიტიკური მომხსენებელი. დადებითი შედეგი მოიტანა საზოგადოებრივ საწყისებზე პოლიტიკური განათლების 250 კაბინეტის. აგრეთვე მუდმივმოქმედი აგიტპუნქტების, კულტურის სახლხო უნივერსიტეტების, ტექნიკური პროგრესისა და მოწინავე გამოცდილების სკოლების მუშაობამ.

ამასთან დაკავშირებით თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო საზოგადოებრივი საწყისების განვითარებას კომუნისტური შენებლობის სხვადასხვა უბანზე. უკვე თვით მონაწილეობა საზოგადოებრივ თვითმმართველობაში წარმოადგენს კომუნისტური შენებლობის აღზრდის მოქმედ ფორმას. თათბირის მონაწილეებმა ილაპარაკეს საზოგადოებრივი საწყისებს ფართოდ გავრცელებაზე იდეოლოგიური მუშაობის მოწყობაში.

უკანასკნელ ხანს საზოგადოებრივი საწყისები ფართოდ იხერგება ჩვენი ოლქის პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიურ მოღვაწეობაში, თქვა პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. თედეევმა.** შეიქმნა მეთოდური საბჭოები და ჯგუფები პარტიული პროპაგანდის, აგიტაციისა და ბეჭდვითი სიტყვის საკითხებზე. იდეოლოგიური კომისიები. პარტიის ბევრ საქალაქო და რაიონულ კომიტეტთან, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებთან. მსგავი საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შექმნილი იდეოლოგიური კომისიების დიდ მუშაობაზე მთელი იდეოლოგიური შუამბის კოორდინირებისათვის ილაპარაკა პარტიის მახარაძის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ბ. შელიქიძემ.**

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა ყოველდღიურად იზრუნონ თავიანთ ორგანიზატორულ და პროპაგანდისტულ მუშაობაში საზოგადოებრივი საწყისების ყოველმხრივ განვითარებისათვის. ეს ხელს შეუწყობს იდეოლოგიური მუშაობის იდეური შინაარსის ამაღლებას, გახდის მას უფრო მასობრივს, განამტკიცებს მის კავშირს ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან.

ლიტერატურა, პრესა, სახალხო თეატრები, მხატვრული თვითმოქმედება, რადიო, ტელევიზია, კინო — ყოველივე ეს უნდა ემსახურებოდეს აღმზრდელობითი მუშაობის მიზნებს, იმას, რომ პარტიის იდეები ვრცელდებოდეს მასებში არა მარტო მეცნიერული ფორმულებისა და დებულებების სახით, არამედ ცოცხალი ფაქტების, მკაფიო სახეების სახით, რათა ხელი შეუწყონ საბჭოთა ადამიანების აღზრდას საბჭოთა სამშობლოსადმი უსაზღვრო სიყვარულის სულისკვეთებით, აღავსონ სიამაყით იმ საგმირო საქმეებისათვის, რაც ჩვენმა ხალხმა განახორციელა თავისი მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით.

სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიის ახალი პროგრამის ახსნა-განმარტებაში, მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში დიდი როლი ეკუთვნის ლექციურ პროპაგანდას. ლექციური პროპაგანდის და განსაკუთრებით მისი ქმედითობის გაძლიერების საკითხებს შეეხო პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების სამტრედიის გაყოფილების თავმჯდომარე ამხ. **ა. კიკვიძე.** ლექციურ პროპაგანდაში ახლა მეტი ყურადღება ეთმობა სოფლის მეურნეობაში მოწინავე გამოცდილების პროპაგანდას. ლექციებს კითხულობენ. ა. კიკვიძემ აღნიშნა, რომ ლექტორებს ესაჭიროებათ საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის მუდმივი მეთოდიური დახმარება.

ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებზე დაწერილებით ილაპარაკა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. **რ. მეტრეველმა.** მან აღძრა საკითხი, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა თაობის აღზრდას, ქალაშვილთა და ჭაბუკთა ინიციატივის განვითარებას. პარტიული ორგანიზაციების დახმარებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქალაშვილებისა და ჭაბუკების კომუნისტური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებისათვის.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება დაუთმეს რესპუბლიკის მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის საკითხებს. მათ აღნიშნეს, რომ საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა შეიძინეს ხალხთა ძმობისა და მეგობრობის იდეების პროპაგანდის მდიდარი გამოცდილება. საბჭოთა საქართველოში ერთსულოვან ოჯახად ცხოვრობენ და შრომობენ ქართველები და რუსები, სომხები და უკრაინელები, აზერბაიჯანელები და ბელორუსები, საბჭოთა ხალხების დიდი მრავალეროვანი ოჯახის ადამიანები. მეგობრობამ და ძმობამ ხელი შეუწყო ქართული ეროვნული კულტურის სწრაფ აყვავებას, ჩვენს მიღწევებს სახალხო მეურნეობის განვითარებაში. მეგობრობის იდეების პროპაგანდა ყოველდღიურად წარმოებს რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების ფურცლებზე. მაგრამ ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება გვერდი ავუაროთ ეროვნული შეზღუდულობის გამოვლინების ცალკეულ ფაქტებს, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება ჩვენი შემოქმედებითი ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის ცალკეულ წარმომადგენელთა შორის. ისინი ამბობენ, რომ უნდა გაძლიერდეს მუშაობა მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ინტერნაციონალური აღზრდისათვის. ზოგიერთი ახალგაზრდა ხულიგნობს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილში, როგორც ამას ადგილი ჰქონდა, მაგალითად სპორტის სასახლეში, და ამით არცხვენს ჩვენს სახელოვან ახალგაზრდობას. საჭიროა უფრო მკაფიოდ გავუწიოთ პროპაგანდა ხალხთა ძმობისა და მეგობრობის, ურთიერთდახმარების, ეროვნული კულტურების დაახლოებისა და გამდიდრების დადებით მაგალითებს. გავაძლიერთ აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდობაში, განსაკუთრებით კი სტუდენტობაში.

## მზრუნველობით აღვზარდოთ. იდეურად გამოვაწრთოთ პროპაგანდისტთა კადრები

თათბირზე დიდი ყურადღება დაეთმო პროპაგანდისტთა კადრებთან მუშაობის საკითხებს. თათბირის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მუშაობის გამოცდილება, რომელიც გასწიეს იმისათვის, რომ განახორციელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი პროპაგანდისტთა კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში. პოლიტსკოლების, წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელად მუშობდა 12.100 კაცი, რომელთაგან 10.050-ს აქვს უმაღლესი განათლება და პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება. პროპაგანდისტულ მუშაობაში ფართოდ ჩაებნენ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტები.

რეგულარულად ეწყობა პროპაგანდისტთა სემინარები, ლექციების ციკლი, ლექტორისა და პროპაგანდისტის დღეები. პოლიტიკური განათლების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისა და მისი მეთოდოლოგიური გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იდეოლოგიურმა კომისიებმა და მეთოდურმა საბჭოებმა, რომლებიც საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა.

პროპაგანდისტთა კადრების მომზადების საქმეში ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციის საინტერესო გამოცდილებაზე ილაპარაკა საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ამხ. **ვ. ჯაველიძემ.** საქალაქო კომიტეტი სისტემატურად აწყობს „პროპაგანდისტის დღეებს“. ამხ. ჯაველიძემ მოიყვანა იმის მკაფიო მაგალითი, თუ რას იძლევა მსმენელებთან პროპაგანდისტის აღმზრდელობითი მუშაობა. ქუთაისის წულუკიძის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის პარტიის ისტორიის კათედრის ლექტორმა გივი გურგენიძემ წლის დამდეგს სურვილი გამოთქვა პროპაგანდისტად წასულიყო საავტომობილო ქარხანაში. მეცადინეობის დღის იგი საწარმოში მიდიოდა ორი საათით ადრე, ესაუბრებოდა მუშებს, სწავლობდა მათი შრომის პირობებს, რაც შესაძლებლობას აძლევდა მჭიდროდ დაეკავშირებინა წარმოებისა და გადასაცემი მასალების საკითხები. წარმოების მუშაკებთან სიახლოვემ, მათთან ურთიერთობამ გადაწყვეტინა ძირითადი მუშაობისაგან თავისუფალ ერთ დღეს კვირაში ემუშავა თავის მსმენელებთან ერთად. ახლა გ. გურეშიძე სამსმენელო საამქროში მუშაობს და წარმატებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

მაგრამ ამასთანავე უნდა ითქვას, რომ ჯერ კიდევ არიან პროპაგანდისტები, რომლებსაც არ ესმით თავიანთი მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა. არის შემთხვევები, როცა პროპაგანდისტის სასატიო მოვალეობას აკისრებენ ამ საქმისათვის შეუფერებელ, არასაკმაოდ მომზადებულ ადამიანებს.

ცნობილია, რომ პარტიული პროპაგანდისტის ძალა ცხოვრებასთან მისი გაერთიანებაა. მაგრამ საჭიროა, რომ პროპაგანდისტმა არა მარტო იცოდეს ეს ჭეშმარიტება, არამედ მთელი თავისი პირადი და საზოგადოებრივი საქმიანობით ახორციელებდეს კიდეც ამას.

ახალქალაქის რაიონის სოფელ მაჯაბინას კოლმეურნეობის პარტორგანიზაციასთან არსებული სოფლის მეურნეობის კოსკრეტული ეკონომიკის შესწავლელი წრის პროპაგანდისტმა ამხ. **დ. თოროსიანმა** ილაპარაკა იმაზე, რომ ცალკეული პროპაგანდისტები, რომლებიც ხშირად ეხებიან შრომის როლს, წარმოთქვამენ ლამაზ ლოზუნგებს მის სარგებლობაზე, თვითონ კი ხაკლებად უწყობენ ხელს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრას, არ ავრცელებენ მოწინავეთა ძვირფას გამოცდილებას. ურიგდებიან შრომის ორგანიზაციის სერიოზულ ნაკლოვანებებს, არ აკრიტიკებენ ლექციებში, მოხსენებებში, მეცადინეობაზე იმათ, ვინც აფერხებს ჩვენს წინსვლას, ებღაუჭება ძველს, დრომოჭმულს. ასეთი პროპაგანდა სარგებლობას ვერ მოიტანს.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მეცადინეობის იდეური დონის გაუმჯობესებაზე დიდ გავლენას ახდენენ მეთოდური კონფერენციები. ღია საჭვენებელი მეცადინეობანი, ლექციები და კონსულტაციები პროპაგანდისტული მუშაობის ცალკეულ საკითხებზე. თბილისელ პროპაგანდისტთა ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო პროპაგანდისტთა პირველი საქალაქო მეთოდური კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ხუთასზე მეტმა კაცმა. პროპაგანდისტთა მუშობის დადებითი გამოცდილების სამზოგადოებისა და პოპულარიზაციის საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ პრესა, რადიო და ტელევიზია. რესპუბლიკურ ჟურნალებსა და გაზეთებში საკმაო რაოდენობით იბეჭდებოდა მასალები პარტიული ორგანიზაციებისა და ცალკეულ პროპაგანდისტთა გამოცდილების საკითხებზე.

პროპაგანდისტთა რეზერვების ამზადებს თბილისის პროპაგანდისტთა საქალაქო სკოლა, რომლის მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ სახელმწიფო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრები. 3.500 მსმენელი გაერთიანდა სოფლის პროპაგანდისტთა რეზერვის მოსამზადებელ კურსებზე პოლიტიკური განათლების რესპუბლიკურ სახლში. პროპაგანდისტთა რეზერვის მომზადება წარმოებდა ყველა სისტემის პოლიტსკოლების, სემინარებისა და წრეებისათვის.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები მოვალენი არიან სპეციალურ კურსებზე მომზადებული ყველა პროპაგანდისტი გამოიყენონ წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელებად. არის ყველა შესაძლებლობა, რომ მომავალ სასწავლო წელს პოლიტიკური განათლების სისტემის ყველა რგოლის ხელმძღვანელებად შერჩეულ იქნან თეორიულად მომზადებული, მაღალკვალიფიკაციური პროპაგანდისტები. უნდა უზრუნველყოთ ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკების, სახალხო მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერი მუშაკების, მასწავლებლების კიდევ უფრო ფართოდ ჩაბმა პროპაგანდისტულ საქმიანობაში. პარტიული ორგანიზაციები არ უნდა შეურეგდნენ ამ საქმეს, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი გაზზე უდგას ideurა-აღმზრდელობით მუშაობას. პარტია და ხალხი დიდად აფასებენ პროპაგანდისტებს — კომუნიზმის გამარჯვების სამშობლოსათვის დაუცხრომელ მებრძოლებს. მათი შრომა იოლი როდია. იგი მოითხოვს დიდ მეცადინეობას. პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან შეუქმნან პროპაგანდისტებს მუშაობის ყველა საჭირო პირობა, არ დაბეერთონ ისინი პარტიული დავალებებით, რომლებიც აშორებენ ძირითად პარტიულ მუშაობას.

## პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანები

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **დ. სტურუა.** ახლანდელ პირობებში, თქვა მან, იდეოლოგიურ მუშაობას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ამოცანა ის არის, რომ ავიყვანოთ იგი ახალ, მაღალ საფეხურზე, რომელიც შეესაბამება კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდს. ჩვენ უნდა შეექმნათ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, აღვზარდოთ თვითეული მშრომელი კომუნისტური სულისკვეთებით. ეს ამოცანები განსაზღვრავენ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც კომუნისტური პარტია უყენებს დღეს იდეოლოგიურ მუშაობას.

მშრომელთა კომუნისტური აღზრდისათვის პარტიული ორგანიზაციების მთელი ორგანიზატორული მუშაობის წარმატება დამოკიდებულია იდეოლოგიური დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დონეზე. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა უნდა იყოს პარტიული ორგანიზაციების მთელი ცხოვრების ცენტრში. დროა ეარი ვთქვათ მცდარ წარმოდგენაზე, რომ ადამიანთა აღზრდას მხოლოდ იდეოლოგიური მუშაკები უნდა ხელმძღვანელობდნენ. ეს მთელი პარტიის, ყველა მისი ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი საქმეა.

იდეოლოგიური მუშაობის ზემოქმედება უნდა განისაზღვრებოდეს პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელების პრაქტიკული შედეგებით, ადამიანთა დამოკიდებულებით შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, კომუნისტური მორალის ნორმების დაცვით.

პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა აღზარდონ მასები შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის ბრძოლის მაგალითებით, კომუნისტური შრომის კოლექტივებისა და დამკვრელების, წარმოების ნოვატორთა გამოცდილებით, პროპაგანდა გაუწიონ მეცნიერების მიღწევებსა და მოწინავე გამოცდილებას, ეკონომიურ და ტექნიკურ ცოდნას.

იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობის გადიდებისა და საბჭოთა ადამიანების ყოველმხრივი განვითარების ინტერესები მოითხოვს ფართოდ დაინერგოს მშრომელთა ცოდნის ამაღლების ისეთი ფორმები, რომლებშიც პოლიტიკური სწავლება უკეთ იქნება შეხამებული საწარმოო და ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებასთან.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მიექცეს მშრომელთა აღზრდას საბჭოთა პატრიოტიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. მშრომელთა ინტერნაციონალურ აღზრდაში ჩვენ დიდი მიღწევები გვაქვს. ხალხთა მეგობრობა ის ძალაა, რომელიც ხელს უწყობდა და უწყობს ჩვენი ეროვნული კულტურის ყოველმხრივ აყვავებას, მთელი ჩვენი თანამედროვეობა სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობის ნათელი დადასტურებაა. ჩვენი ხალხების მონოლითურ ერთიანობაზე მეტყველებს მემდინარე წლის მარტში მოწყობილი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, როცა საქართველოს მშრომელებმა, უკლებლივ ყველამ, მისცეს თავიანთი ხმა კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს. ამ ფონზე მით უფრო შეუწყნარებელია ეროვნული შეზღუდულობის, ნაციონალისტური გადმონაშთების ცალკეული გამოვლინებანი. სსრ კავშირის მომძე ხალხთა მიღწევების პროპაგანდამ ხელი უნდა შეუწყოს სოციალისტური ერების შემდგომ დაახლოებას, მათი კულტურების ურთიერთგამდიდრებას, ადამიანთა აღზრდას ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებას ჩამორჩენილ საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. იდეოლოგიური მუშაობის ქმედითობა უშინარეს ყოველისა დამოკიდებულია პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე. ამიტომ უნდა ავამაღლოთ ყველა კომუნისტის აქტივობა, მასის ბის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში, ფართოდ ჩავაბათ ისინი იდეოლოგიურ მუშაობაში საზოგადოებრივ საწყისებზე.

დიდი მნიშვნელობა აქვს ახალგაზრდობის, ინტელიგენციის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაძლიერებას. ამ მიზნით საჭიროა უფრო სწრაფად გამოვიყენოთ ჩვენი შემოქმედებითი და მეცნიერთა კადრების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების ძალები, უფრო გაბედულად ჩავაბათ ისინი მშრომელთა შორის პოლიტიკურ მუშაობაში.

უკანასკნელ ხანს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიტანა დადგენილებანი მინსკისა და კუიბიშევის ოლქების პარტიული ორგანიზაციების იდეოლოგიური მუშაობის ხელმძღვანელობის შესახებ. ამ დადგენილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა პარტიული ორგანიზაციისათვის. საჭიროა, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიის საოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა შეისწავლონ დასახელებული დოკუმენტები და იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით თავიანთ იდეოლოგიურ მუშაობაში.

კომუნისტური საზოგადოების ადამიანი უკვე მტკიცედ მიაბიჯებს ჩვენს მიწაზე, აღწევს სულ ახალ წარმატებებს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, მეცნიერებასა და კულტურაში. იგი სწვდება კოსმოსს, აშენებს ახალ სოციალისტურ ქალაქებს, ალამაზებს ცხოვრებას. პროპაგანდისტები და აგიტატორები უნდა ხედავდნენ ჩვენი დროის გმირებს. საჭიროა ამ ადამიანთა მაგალითით აღიზარდონ ათასობით და მილიონობით ადამიანი.

იდეოლოგიური ფრონტის მუშაკთა ყურადღების ცენტრი უნდა იყოს მასების შრომითი აღზრდის საკითხები. საჭიროა შეურიგებელი ბრძოლა ვაწარმოოთ მუქთახორების, ყალთაბანდეებისა და წამგლეჯების წინააღმდეგ, ეკრძოლეთ საკუთრების მოყვარულთა წინააღმდეგ. საჭიროა, რომ საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა საზოგადოების საკეთილდღეოდ საარსებო საჭიროება გახდეს თვითეული ადამიანისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიური ფრონტის მუშაკებმა არ უნდა აუარონ გვერდი ისეთ მანკიერ მოვლენებს, როგორიც არის აპოლიტიკურობა, გულგრილობა, ნიჰილისტური გაფუჭებულება, რაც ზოგჯერ თავს იჩენს ახალგაზრდობის ერთ ნაწილში. უნდა ჩავუფერგოთ ქალაშვილებსა და ჭაბუკებს დამოუკიდებლობის, ინიციატივის გრძნობა, დაბრკოლებათა გადალახვის უნარი.

იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი გაძლიერება, მისი ბრძოლისუნარიანობის გადიდება, მისი გავლენის სფეროს გაფართოება თვითეული პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი ამოცანაა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ არ შეიძლება შეეანელოთ ეს მუშაობა, მისი ქმედითობა.

ეჭვი არ არის, რომ პროპაგანდისტები, იდეოლოგიური ფრონტის ყველა მუშაკი, რომლებიც გატაცებითა და სიყვარულით ეწევიან მშრომელებში პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობას, თავიანთი მარადალი, მეზნებარე სიტყვით და საზოგადოებრივად სასარგებლო საქმეებით კვლავაც აქტიურად დარაზმავენ საბჭოთა ადამიანებს კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის საბრძოლველად. (საქდესი).

# საინტერესო კონცერტი

## ბოშური ანსამბლი თბილისში

შური ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი.

ანსამბლი ჩამოყალიბებულია 1932 წელს. დიდი სამამულო ომის წლებში იგი იძულებული იყო შეეწყვიტა თავისი გამოსვლები, ხოლო 1947 წლიდან ანსამბლი კვლავ გამოდის მაყურებელთა წინაშე. კოლექტივის მსახიობებმა მიზნად დაისახეს გაეთავისუფლებინათ ბოშური სიმღერები და ცეკვები იმ ნარევებისაგან, რომლებიც შემოიტანა ინდივიდუალურმა, მოუვარულთა სალონურმა შესრულებამ, და პროპაგანდა გაეწიათ თავიანთი ხალხის წმიდა საცეკვაო და სასიმღერო ხელოვნებისათვის.

ახლა ანსამბლში ირიცხებიან ორი თაობის მსახიობები, ისინი, ვინც აქ არიან მისი დაარსების დღიდან და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები, რომლებიც ანსამბლში გვიან მოვიდნენ.

კონცერტის პროგრამა შედგება სასიმღერო, საცეკვაო და შერეული ნომრებისაგან, რომლებიც ერთიმეორის მიყოლებით სწრაფი ტემპით სრულდება. კარგი შთაბეჭდილება დატოვა ნიკიფორმა მომღერალმა ელენე ომელნიცკაიამ, რომელმაც გიტარების აკომპანემენტით შესანიშნავად იმღერა ძველი ბოშური სიმღერები. მოწონებით შეხვდნენ მსმენელები ანრეოვე მომღერალს მარია ჩერვონაიას, რომელიც ანსამბლში მისი დაარსების დღიდან იმყოფება.

დიდი წარმატება ხვდათ მოცეკვავეებს. ალალ მოცეკვავე წინწილ ცეკვს ბოშური „ცეკვა“ ... ბასილეს. მაგრამ ეს სულ ... ... ...